ISSN1512-4169

# მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეცენზირებადი, რეფერირებადი

სამეცნიეროშრომათა კრებული

# Modern Issues of Medicine and Management

Quarterlyinternational refereed, peer-reviewed

Collected Scientific Works

# Современные проблемы медицины и менеджмента

Ежеквартальный Международный, рецензированный, реферированный сборник научных трудов

თბილისი

№2, 2015

ISSN 1512-4169

# მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეცენზირებადი, რეფერირებადი

სამეცნიეროშრომათა კრებული

# Modern Issues of Medicine and Management

Quarterlyinternational refereed, peer-reviewed

Collected Scientific Works

# Современные проблемы медицины и менеджмента

Ежеквартальный Международный, рецензированный, реферированный сборник научных трудов

თბილისი

№2, 2015

# უნივერსიტეტი გეომედი



# მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეცენზირებადი, რეფერირებადი სამეცნიერო შრომათა კრებული

Modern Issues of Medicine and Management
Quarterly international refereed, peer-reviewed
Collected Scientific Works

Современные проблемы медицины и менеджмента
Ежеквартальный международный, рецензированный, реферированный сборник научных трудов

# რედაქტორისაგან



ძვირფასო კოლეგებო! შემოთავაზებული სამეცნიერო ნაშრომთა კრებული განკუთვნილია მედიცინის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, დაზღვევის და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის, რომლებიცდაინტერესებულნი არიან მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემების კვლევითა და შესწავლით.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ავტორთა მიერ წარმოდგენილი შრომები ხელს შეუწყობს ამ დარგთა სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.


მარინა ფირცხალავა

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უნივერსიტეტ გეომედის რექტორი


სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი - პროფესორი მარინა ფირცხალავა;
რედაქტორის მოადგილე  - პროფესორი გურამ ამყოლაძე;
რედაქტორის მოადგილე  -  პროფესორი თამარ ოქროპირიძე;
პასუხისმგებელი რედაქტორი - პროფესორი ლელა აფციაური;
აბრალავა ანზორ - პროფესორი;
ალადაშვილილალი  -  პროფესორი
ანდრეზენირუდიგერ  - პროფესორი, გერმანია
ბაბუაძენუგზარ  - პროფესორი;
ბარათაშვილიევგენი  -  პროფესორი;
გორდელაძედავით  - პროფესორი
დათაშვილივახტანგ  -  პროფესორი;
ვაშალომიძეგივი  - პროფესორი, გერმანია
თავხელიძე თეიმურაზ -  პროფესორი;
იოსებაძე თეიმურაზ-  პროფესორი;
კუნეშინურეთინ  - პროფესორი, თურქეთი
ლაპრიჩი სტეფან- პროფესორი, საფრანგეთი
ლომსაძემაია -კუჭავა -   პროფესორი;
ლორთქიფანიძე რევაზ -  პროფესორი;
მიორინიფრანჩესკო  - პროფესორი, იტალია
მირცხულავამერაბ  - პროფესორი;
მოწონელიძენინო  -  პროფესორი;
როგავამამანტი  -  პროფესორი;
როვიელოჯოვანი  - პროფესორი, იტალია
ტოსკანოუილიამ  - პროფესორი, აშშ
ქუთათელაძერუსუდან  -  პროფესორი;
ღიბრაძენანული  -  პროფესორი;
ცერცვაძე არჩილ- პროფესორი;
ძაგანიაჯემალ  -  პროფესორი;
ლეილა წაქაძე - პროფესორი;
გურამ ხასია - პროფესორი;

**Научно-редакционная коллегия**

Главный редактор – Профессор, Марина Фирцхалава
Зам. гл. редактора – Профессор, Тамар Окропиридзе
Зам. гл. редактора - Профессор, Гурам Амколадзе
Ответственный редактор - Профессор, Лела Афциаури
Абралава Анзор –Профессор
Аладашвили Лали - Профессор
Андрезен Рудигер - Профессор,
Бабуадзе Герман Нугзар –Профессор
Бараташвили Эвгений - Профессор
Вашаломидзе Гиви – Профессор, Германия
Горделадзе Давид - Профессор
Даташвили Вахтанг - Профессор
Дзагания Джемал–Профессор
Иосебадзе Теимураз - Профессор
Кунеш Нуретин – Профессор, Турция
Кутателадзе Русудан - Профессор
Лапричи Стефан – Профессор, Франция
Ломсадзе-Кучава Мая - Профессор
Лордкипанидзе Реваз - Профессор
Миорини Франческо - Профессор, Италия
Мирцхулава Мераб –Профессор
Моцонелидзе Нино – Профессор
Ровиело Джовани– Профессор, Италия
Рогава Маманти –Профессор
Тавхелидзе Теимураз –Профессор
Тоскано Виллиам– Профессор, США
Цакадзе Леила - Профессор
Церцвадзе Арчил - Профессор
ХасияГурам - Профессор

**Scientific Editorial Board**

**Editor-in-Chief** Professor Marina Pirtskhalava, Rector of University Geomedi

**Managing Editor** - Professor Tamar Okropiridze

**Managing Editor** - Professor Guram Amkoladze

**Managing Secretary** - Professor Lela Aptsiauri

Abralava Anzor - Professor;

Aladashvili Lali – Professor;

Andrezen Rudiger - Professor, Germany;
Babuadze Nugzar –Professor

Baratashvili Evgeni – Professor;

Datashvili Vakhtang – Professor.

Dzagania Jemal – Professor;

Ghibradze Nanuli– Professor;

Gordeladze Davit–Professor;

Iosebadze Teimuraz – Professor:

Khasia Guram– Professor;

Kunesh Nuretin – Professor, Turkey;
Kutateladze Rusudan– Professor;

Laprich Stephan - Professor, France;
Lomsadze-Kutchava Maia– Professor;

Lortkipanidze Revaz - Professor;

Miorini Francesco– Professor, Italy;
Mirtskhulava Merab – Professor;

Motsonelidze Nino - Professor;

Rogava Mamanti –Professor;

Roviello Giovani– Professor, Italy;
Tavkhelidze Teimuraz – Professor;

Toscano William - Professor, , USA;
Tsertsvadze Archil– Professor:

Tsakadze Leila – Professor;

Vashalomidze Givi - Professor, Germany;

სარჩევი

1.მედიცინა

თ.თავხელიძე დოქტორი, პროფესორი. ლაზერით დასხივებისა და ზოგიერთი პრეპარატის გავლენა ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის მიმდინარეობაზე. 15

ე. მამფორია , დოქტორი, პროფესორი. მოსახსნელი პროთეზებით მოსარგებლე პაციენტების გამღოლისალგორითმის დასაბუთება კბილების ნაწილობრივი დაკარგვისშემთხვევაში. 31

ე. მამფორიადოქტორი, პროფესორი. სტომატოლოგიურ მასალათა აუტანლობის მიზეზები 41

ნ. სიხარულიძედოქტორი, პროფესორი. თალამუსისვენტროლატერალურიბირთვისდაზიანებისგავლენააქტიურიგანრიდებისპირობითრეფლექსებზე51

თ. გაგოშიძე დოქტორი, პროფესორი. ლაინერი -ესტეტიური სტომატოლოგია 63

მ.ლომსაძე-კუჭავა დოქტორი, პროფესორი. ფიტოთერაპია და 21-ე საუკუნე 67

ლ.ალადაშვილი,დოქტორი, პროფესორი. მ.ჯერვალიძე, დოქტორი, პროფესორი. ი.თაბორიძედოქტორი, პროფესორი. ცხოვრებისხარისხისშეფასებასხვადასხვაფსიქონერვულიტიპისპაციენტებისმიერმთლიანიმო სახსნელიპროთეზისბაზისისმიხედვით 74

2.ეკონომიკა

ც.ლომაია, დოქტორი, პროფესორი; ვ.კატუკია, დოქტორანტი,ე.დარჩიაშვილი, დოქტორანტი. სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები საქართველოში და მმართველობის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ასპექტები 89

რ.ღორთქიფანიძე, დოქტორი, პროფესორი. ეფექტიანი ფინანსური მონიტორინგისათვის ჯანდაცვის ბიზნესში 100

3.ჯანდაცვის მენეჯმენტი

რ. ქუთათელაძე, დოქტორი, პროფესორი. ჯანდაცვის სიტემაშიინოვაციების განვითარება და სამედიცინო მომსახურების ორგანიზება. 108

ა. ცერცვაძე, დოქტორი, პროფესორი,ბ. ცერცვაძე, მაგისტრანტი. დაზღვევა, როგორც რისკის მენეჯმენტის ყველაზე ეფექტიანი და გავრცელებული ფინანსური ინსტრუმენტი. 118

ც. ლომაია , დოქტორი, პროფესორი, ა. მჭედლიშვილი მაგისტრი. ხარისხის მართვის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტიული მიმართულებები ჯანდაცვაში, 130

4.მენეჯმენტი

ა. კატუკია,დოქტორი, პროფესორი,ვ. ხურციძე, მაგისტრი.მოტივაციისპრინციპებისგამოყენებისპრიორიტეტებიჯანდაცვისობიექტებში. 148

მ. ლომსაძე-კუჭავა, დოქტორი, პროფესორი. ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა და საინვესტიციო გარემოსაქართველოში, 167

ნ.გვენეტაძე, დოქტორი, პროფესორი.მედიასაშუალებებისროლი საკომუნიკაციო ინგლისურიენისშესწავლაში. 176

გ.ამყოლაძე,დოქტორი, პროფესორი, ჯ. დუგლაძე, დოქტორი, მ. ლომსაძე-კუჭავა, დოქტორი, პროფესორი.ინტელექტუალური

ენერგოსისტემის განვითარების ვარიანტების შეფასების მეთოდოლოგია. 181

ლ.გვაჯაია, დოქტორი, პროფესორი, ინოვაციებისსტრატეგიულიმართვასაწარმოში. 197

ნ. გიორგიშვილი, დოქტორი, პროფესორი. მ. წულაია, კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში და ნავთობპროდუქტების ბაზრის მიმოხილვა. 208

Content

1.Medicine

Tavkhelidze T. Phd, Professor .Effectoflaserirradiationandsomedrugsonthecourseofexperimentalatherosclerosis15

Mamphoria E. Phd, Professor.Substantiation of algorithm of management ofpatients with partial absence of teeth, using removable dentures 31

Mamphoria E. Phd, Professor Reasons related to intolerance of dentalmaterials. 41

Sikharulidze N. Phd, Professor. Theeffectoflesionofthen. ventralislateralisofthethalamusontheconditionalreflexesofactrveescape 51Gagoshidze T. Phd, Professor Eliner–EstheticDentistry63

Lomsadze-Kuchava M. Doctor of Management, Professor .Herbal medicine and the 21st century 67

Aladashvily L. Phd, ProfessorDjervalidze M. Phd, Professor TaboridzeI. Phd, Professor.Indicatorsofadaptationcompletedenturesinapplyingpolypropylene, clearacrylicbase. 74

2 .Economics

Lomaia Ts. Phd, Professor, Darchiashvili E. Doctorant. Katukia V. Doctorant. Social-economic reforms in Georgia and aspect of institutional-organizational management 89

Lortkiphanidze R. Phd, Professor. For Effective Financial Monitoring in Healthcare Business 100

3.Healtcare managment

Kutateladze R, Phd, Professor. Development of the innovations in healthcare system and organization of the medical service. 108

Tsertsvadze A. Phd, Professor, Tsertsvadze B. Master. Insurance, as the most effective and popular financial instrument of risk management, 118

Lomaia Ts. Phd, Professor, Mtchedlishvili A. Master. Analyse of modern quality inhasement and perspective ways in healthcare management 130

4.Managent

Katukia A. Phd, Professor, Khurtsidze V. Master. Usefulness of priorities of motivation principles in healthcare, 148

Lomsadze- Kutchava M. Phd, Professor. Investments, investment policy and investment climate in Georgia.167

Gvenetadze N. Phd, Professor.Role of the Media in learning English language176

Amkoladze G. Phd, Professor, Dugladze J. Phd, professor, Lomsadze-Kutchava M. Phd, Professor.Evaluation methods of variaties in development of the intellectual energysystem , 181

Gvajagia L. Phd, Professor. Strategicalmanagementofinnovationsinanenterprise. 197

Giorgishvili N. Phd, Professor.Tsulaia M. Competition of the politics in Georgia and overview of market of Oil-Industry.208

Содержание

1.Медицина

Т. ТавхелидзеДок. Мед . наук. Проф.Влияниелазерногооблученияинекоторыхпрепаратовнатечениеэкспериментальногоатеросклероза15

Э. Мамфория Док. Мед . наук. Проф.Обоснование алгоритма ведения пациентов, пользующихсясъемными протезами при частичном отсутствии зубов.31

Э. Мамфория Док. Мед . наук. Проф. Причины связанные с непереносимостью стоматологических материалов. 41

Н. Сихарулидзе. Док. Мед . наук. Проф.

Влияниеповреждениевентролатеральногоядраталамусанаусловныерефлексыактивногоизбегания. 51

Т.Гагошидзе.Док. Мед . наук. Проф. Елайнер-Естетика в стоматологии63

М.Ломсадзе-Кучава. Док. Менеджмента . Проф. Фитотерапия и 21 век 67

Л.Аладашвили, Док. Мед . наук. Проф М.Джервалидзе, Док. Мед . наук. Проф И.ТаборидзеДок. Мед . наук. Проф. Показателиадаптациикполномусъемномупротезуприприменениииполипропиленовыхиакриловыхбазисов74

2.Экономика

Ц. Ломаиа, Док. Эк. наук. Проф. В Катукия. Докторант . Э. Дарчиашвили. Докторант Социально-экономические реформы Грузии и институционно- организационные аспекты управления 89

Р. Лорткипанидзе. Док. Эк. наук .Проф.Для эффективного финансового мониторинга в бизнесе здравоохранения. 100

3. Менеджмент здравоохранения

Р. Кутателадзе. Док. Эк. наук. Проф. Развитие инновации в системе здравохранения и организация медицинского обслуживания108

А. Церцвадзе. Док. Эк. наук. Проф. Б. Церцвадзе . Магистрант. Страхование, каксамыйэффективныйираспространённыйфинансовыйинструментриск менеджмента 118

Ц. Ломаиа, Док. Эк. наук. Проф. А. Мчедлишвили. Магистр. Анализ современного положения управления качества и перспективные направления в здравохранение 130

4.Менеджмент

А. Катукия. Докторант . В. Хурцидзе. Магистр. Приоритеты использования принципов мотивации в обиектах здравохранения148

М.Ломсадзе-Кучава. Док. Менеджмента . Проф . "Инвестиции, инвестиционная политика и инвестиционный климат в Грузии" 167

Н. Гвенетадзе. Доктор. Роль медия средств в изучении коммуникационногоанглийскогоязыка176

Г. Амколадзе, Док. Тех. наук. Проф. Д. Дугладзе. Доктор.М.Ломсадзе-Кучава.Док.Менеджмента . Проф . Методология оценки вариантов развития интеллектуальной энергосистемы 181

Л.Гваджая. Док. Эк. наук. Проф.Стратегическое управление инновации напредприятиях 197

Н. Гиоргишвили. Док. Менеджмента . Проф . М. Цулаия Политика конкуренции в грузии и обзор рынка нефтепродуктов208

# მედიცინა

# ლაზერით დასხივებისა და ზოგიერთი პრეპარატის გავლენა ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის მიმდინარეობაზე

თ.თავხელიძე

ათეროსკლეროზი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. ის ძირითადად მსხვილ (ელასტიური და კუნთოვან-ელასტიური ტიპის) არტერიებს აზიანებს. ათეროსკლეროზის მრისხანე გართულებებია გულის კუნთის ინფარქტი, თავის ტვინის ინსულტი, ქვემო კიდურების განგრენა და ა.შ. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მრავალმა ავტორმა მიუძღვნა ათეროსკლეროზს არაერთი კვლევა (1,2,3). ისევე, როგორც ადამიანის ათეროსკლეროზის შემთხვევაში, ასევე ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქოლესტერინს და β-ლიპოპროტეიდებს (4, 5, 6). მნიშვნელოვანია აგრეთვე თრომბოციტების როლი აღნიშნულ პათოლოგიაში (7, 8, 9, 10). ათეროსკლეროზის პრევენციას და მკურნალობას არაერთი შრომა მიეძღვნა. ამ მიზნით რიგიავტორებისმიერსხვადასხვა საშუალებებთან ერთად გამოყენებული იყოჰელიუმ-ნეონის ლაზერიც(11, 12, 13,14).თუმცა საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია.

ჩვენი კვლევის მიზანი, ამჯერად, იყო ექსპერიმენტულ ათეროსკლეროზზე ტრენტალით, ასპირინით, აგრეთვე ჰელიუმ-ნეონის ლაზერით ზემოქმედება და ამ პირობებში თრომბოციტების ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა, აგრეთვე აორტის ინტიმის ლიპიდური ჩანართების მორფომეტრია, აორტის კედლებში მიმდინარე მორფოლოგიურ ცვლილებების შესწავლა ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდით, ნეიტრალური და მჟავე მუკოპოლისაქარიდები რაოდენობის განსაზღვრა.

ამისათვის კვლევები ჩავატარეთ 85 ერთეულ „შინშილას“ ხაზის 2.5-3.5 კგ წონის ხვად ბოცვერებზე. ცხოველები გავანაწილეთ 6 ჯგუფში. I-ლი საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 10-მა ბოცვერმა, რომლებიც იმყოფებოდნენ კვების ჩვეულებრივ რაციონზე. II, III, IV, V დაVI15-15 ცხოველიან ჯგუფებში 90 დღის განმავლობაში ვიწვევდით **ნ.ანიჩკოვის** მოდელის „ალიმენტურ“ ექსპერიმენტულ ათეროსკლეროზს. ამასთან, დამატებით, ყოველდღიურად იღებდნენ IIIჯგუფის ცხოველები 0,3 მილიგრამ (მგ) ასპირინს კილოგრამ წონაზე, IVჯგუფის ცხოველები - 2,0 მგ ტრენტალს კილოგრამ წონაზე, Vჯგუფის ცხოველებზე ვაწარმოებდით მათი ყურების სისხლძარღვებში გამავალი სისხლის ყოველდღიურ დასხივებას 1,5-2,0 მილივატი სიმძლავრის ჰელიუმ-ნეონის დაბალინტენსიური წითელი

ლაზერით, VIჯგუფის ცხოველებზე კი ვაწარმოებდით სამივე სახის ზემოქმედებას. აორტას და სისხლს ვიკვლევდით ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის 30-ე, 60-ე და 90-ე დღეებში, თითოეული ჯგუფის 5 ცხოველზე.

სისხლის შრატში საერთო ქოლესტერინს ვიკვლევდით **ილკას (ლიბერმან-ბურქარდისრეაქცია)** მეთოდით, ხოლო β-ლიპოპროტეიდებს - **მ.ბურშტეინის**მეთოდით. თრომბოციტების ფუნქციური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საკვლევ ჯგუფებში, სისხლის ცენტრიფუგირების შედეგად მიღებულ თრომბოციტებიან პლაზმას ხელმეორედ ვაცენტრიფუგირებდით, რის შედეგადაც მიღებულ ნალექს შესაბამისი დამუშავების შემდეგ ვაყალიბებდით ეპონის ბლოკებში. ამ ბლოკებიდან მიღებულ ულტრათხელ ანათლებს ვიკვლევდით ელექტრონულ მიკროსკოპში. საკვლევ ჯგუფებში ყოველ 200 თრომბოციტში ვითვლიდით ელექტრონულად მკვრივ ნაწილაკებს და α-გრანულებს, რის შემდეგაც ვადგენდით მათ საშუალო რაოდენობას თრომბოციტის თითოეულ ანათალში. პარალელურად აორტის კედლში განვითარებულ ცვლილებებს ვიკვლევდით ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდით. მჟავე მუკოპოლისაქარიდების გამოსავლენად გამოვიყენეთ **ჰეილის** ჰისტოქიმიური მეთოდი, ხოლო ნეიტრალური მუკოპოლისაქარიდების გამოსავლენად **PAS-რეაქცია**. როგორც მჟავე მუკოპოლისაქარიდების, ასევე ნეიტრალური მუკოპოლისაქარიდების რაოდენობას ვსაზღვრავდით მიკროფოტომეტრზე **ბ.ბროდსკის** მიერ მოწოდებული პირდაპირი ციტოფოტომეტრიის მეთოდით შესაბამისი სტატისტიკური დამუშავებით. პათოლოგიური პროცესის სიმძიმის კრიტერიუმად მივიჩნევდით აორტის ინტიმაში მიმდინარე ცვლილებებს (ლიპიდურ ლაქებს და ათერომებს), რომელთა გამოსავლენად აორტის ტოტალურ პრეპარატებს ვღებავდით სუდან III-ით. მათ შესაფასებლად ვიყენებდით **ა.ავთანდილოვის** მიერ მოწოდებულ მორფომეტრიულ მეთოდს. გამოგვყავდა ინტაქტური და პათოლოგიური უბნების თანაფარდობა.

ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის და მასზე ასპირინის და ტრენტალის ზემოქმედებამ, აგრეთვე სისხლის ლაზერით დასხივებამ სისხლის შრატში საერთო ქოლესტერინის (ცხრილი #1) და β-ლიპოპროტეიდების (ცხრილი #2) კონცენტრაციების განსაზღვრამ, სხვადასხვა ჯგუფებში სხვადასხვა სურათი გამოავლინა.

ცხრილი #1

ქოლესტერინი (მმოლ/ლ)

| ჯგუფები | 0 დღე | 30 დღე | 60 დღე | 90 დღე |
|---|---|---|---|---|
| I | 1,17±0,21 | 1,17± 0,21 | 1,17± 0,21 | 1,17± 0,21 |
| II | 1,17±0,21 | 13,48±0,65 | 23,26±0,58 | 24,07±1,82 |
| III | 1,17±0,21 | 11,72±1,62 | 17,28±0,98 | 21,65±1,25 |
| IV | 1,17±0,21 | 9,66±1,06 | 16,07±2,32 | 21,06±1,35 |
| V | 1,17±0,21 | 12,01±0,92 | 19,2±0,86 | 22,23±1,32 |
| VI | 1,17±0,21 | 10,25±1,03 | 18,16±1,08 | 18,92±1,72 |

ცხრილი #2

β-ლიპოპროტეიდების (გ/ლ)

| ჯგუფები | 0 დღე | 30 დღე | 60 დღე | 90 დღე |
|---|---|---|---|---|
| I | 0,52±0,02 | 0,52±0,02 | 0,52±0,02 | 0,52±0,02 |
| II | 0,52±0,02 | 4,88±0,15 | 7,27±0,21 | 9,28±0,32 |
| III | 0,52±0,02 | 4,22±0,14 | 6,62±0,18 | 8,58±0,22 |
| IV | 0,52±0,02 | 4,02±0,18 | 6,50±0,24 | 8,34±0,35 |
| V | 0,52±0,02 | 4,18±0,16 | 6,58±0,25 | 8,84±0,33 |
| VI | 0,52±0,02 | 3,14±0,23 | 5,90±0,31 | 6,93±0,34 |

მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ სისხლის შრატში II ექსპერიმენტულ ჯგუფში ნორმასთან შედარებით ქოლესტერინის რაოდენობა 30-ე დღეს მომატებულია 12-ჯერ, 60-ე დღეს 20-ჯერ, 90-ე დღეს კი 21-ჯერ. ბეტა-ლიპოპროტეიდების რაოდენობა იგივე ჯგუფში, დღეების შესაბამისად, მომატებულია 9,4-ჯერ, 14-ჯერ და 17,8-ჯერ.

IIIექსპერიმენტულ ჯგუფში, ასპირინის ფონზე, ქოლესტერინის რაოდენობა ნორმასთან შედარებით სისხლის შრატში, აღნიშნულ დღეებში გაზრდილია

შესაბამისად 10-ჯერ, 16-ჯერ და 18,5-ჯერ. ბეტა-ლიპოპროტეიდების რაოდენობა იგივე დღეებში გაზრდილია 8-ჯერ, 12,7-ჯერ და 16,5-ჯერ, რაც ნაკლებია IIჯგუფთან შედარებით. როგორც ჩანს ასპირინის ფონზე ქოლესტეინისა და ბეტა-ლიპოპროტეიდების რაოდენობის ზრდა შედარებით შეფერხებულია.

სისხლის შრატში IVექსპერიმენტულ ჯგუფის ცხოველებში, რომლებიც ქოლესტერინთან ერთად იღებდნენ ტრენტალს, ქოლესტერინის დონე ნორმასთან შედარებით 30-ე, 60-ე და 90-ე დღეებში შესაბამისად აწეულია 8,5-ჯერ, 15-ჯერ, და 18-ჯერ. ბეტა-ლიპოპროპტეიდების რაოდენობა კი შესაბამისად მომატებულია 7,7-ჯერ, 12,5-ჯერ და 16-ჯერ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასპირინთან შედარებით ტრენტალი უფრო ეფექტურია.

V ლაზერის ჯგუფში ქოლესტერინისა და ბეტა-ლიპოპროტეიდების რაოდენობა, სისხლის შრატში III და IV ჯგუფებთან შედარებით უმნიშვნელოდაა შემცირებული, თუმცა ნაკლებია ვიდრე II ჯგუფში. ქოლესტერინის რაოდენობა დღეების მიხედვით მომატებულია 10-ჯერ, 16-ჯერ და 19-ჯერ, ბეტა-ლიპოპროტეიდებისა კი 8-ჯერ, 12,7-ჯერ და 17-ჯერ.

რაც შეეხება VI ჯგუფის ცხოველებს, რომლებზეც ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის ფონზე კომბინირებულად ვმოქმედებდით, როგორც ასპირინით და ტრენტალით, ასევე ლაზერის სხივით, მათში ქოლესტერინისა და ბეტა-ლიპოპროტეიდების რაოდენობა ყველა ჯგუფთან შედარებით ბევრად ნაკლები იყო: ნორმასთან შედარებით დღეების მიხედვით ქოლესტერინი მომატებული იყო 8,8-ჯერ, 15,5-ჯერ და 16,2-ჯერ, ხოლო ბეტა-ლიპოპროტეიდები 6-ჯერ, 11,3-ჯერ და 13,3-ჯერ.

აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის პირობებში,ჩვენს მიერ გამოყენებული საშუალებები იწვევენ, როგორც ქოლესტერინის, ასევე ბეტა-ლიპოპროტეიდების დონის დაწევას სისხლის შრატში. უკეთეს შედეგს იძლევა ამ საშუალებების კომბინირებული გამოყენება.

ცნობილია, რომ თრომბოციტების აგრეგაციისას სრულად გამოიდევნება მათგან თრომბოქსან $A_2$, რის შემდეგაც თრომბოციტებში მორფოლოგიურად პასუხისმგებელ სუბსტრატსწარმოადგენენა-გრანულები და ელექტრონულად მკვრივი ნაწილაკები. ამიტომ თრომბოციტების ულტრასტრუქტურის შესწავლისას ვითვლიდით მათში არსებულ α-გრანულებს და ელექტრონულად მკვრივ ნაწილაკებს, რომელთა რაოდენობა თრომბოციტის ერთ ანათალში მატულობდა.

ცხრილი #3

α-გრანულების და ელექტრონულად მკვრივი ნაწილაკების რაოდენობა თრომბოციტის ერთ ანათალში

| ჯგუფები | 0 დღე | 30 დღე | 60 დღე | 90 დღე |
|---|---|---|---|---|
| I | 3,94±0,35 | 3,94±0,35 | 3,94±0,35 | 3,94±0,35 |
| II | 3,94±0,35 | 6,57±0,45 | 9,11±0,48 | 10,95±0,43 |
| III | 3,94±0,35 | 4,99±0,38 | 5,63±0,43 | 5,77±0,46 |
| IV | 3,94±0,35 | 5,41±0,37 | 6,13±0,41 | 7,64±0,40 |
| V | 3,94±0,35 | 5,23±0,44 | 5,80±0,43 | 6,69±0,42 |
| VI | 3,94±0,35 | 4,12±0,43 | 4,21±0,37 | 4,41±0,41 |

ცხოველშიექსპერიმენტის ვადის ზრდასთან ერთად (ცხრილი #3), რაც ასევე ასახულია #1, #2, #3 და #4 სურათებზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს II ჯგუფში აღნიშნული ჩანართების რაოდენობა ექსპერიმენტის ხანგრძლივობასთან ერთად იზრდება შესაბამისად 67,4%-ით, 130,8%-ით და 178%-ით. III ჯგუფში, იგივე მაჩვენებელი დღეების შესაბამისად შეადგენს 26,7%-ს, 46%-ს და 46,4%-ს. როგორც ვხედავთ ამ ჯგუფის მაჩვენებლები ნაკლებია, ვიდრე II ჯგუფის. IV ჯგუფში თრომბოციტებში ჩანართების რაოდენობა, ექსპერიმენტის ვადის ზრდასთან ერთად იზრდება შესაბამისად 37,4-%-ით, 55,6-%-ით, 94%-ით. ამ ჯგუფის მაჩვენებლები უკეთესია, ვიდრე III ჯგუფის. V ჯგუფში α-გრანულების და ელექტრონულად მკვრივი ნაწილაკების ციფრობრივი გამოხატულება, ნორმასთან შედარებით, მომატებულია, შესაბამისად 32,7%-ით, 47,3%-ით, 69,8%-ით, რაც ნაკლებია ვიდრე II და IV ჯგუფებში, თუმცა მეტია ვიდრე III ჯგუფში. VI ჯგუფში აღნიშნული ჩანართების რაოდენობა დღეების მიხედვით, შესაბამისად კი იზრდება მხოლოდ 4,5%-ით, 6,8%-ით და 11,9%-ით. ეს მაჩვენებლები კი ბევრად უკეთესია ვიდრე დანარჩენი ჯგუფების. როგორც ვხედავთ ექსპერიმენტის ბოლო ვადაში II ჯგუფში α-გრანულების და ელექტრონულად მკვრივი ნაწილაკების რაოდენობა თითქმის სამმაგდება, VI ჯგუფის იგივე ვადაში კი ამ ჩანართების მატება, ფაქტიურად არ ხდება, რაც მკვეთრად აფერხებს ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის განვითარებას.

| | |
|---|---|
|  |  |
| სურათი #1<br>ნორმალური თრომბოციტები.<br>ელექტრონული მიკროსკოპი, 20 000× | სურათი #2<br>თრომბოციტები ექსპ.ათეროსკლეროზის 30-ე დღეს. ელექტრონული მიკროსკოპი, 20 000× |

| | |
|---|---|
|  |  |
| სურათი #3<br>თრომბოციტები ექსპ.ათეროსკლეროზის 90-ე დღეს. ელექტრონული მიკროსკოპი, 25 000× | სურათი #4<br>თრომბოციტები ექსპ.ათეროსკლეროზის 90-ე დღეს ლაზერით ზემოქმედების შემდეგ. ელექტრონული მიკროსკოპი, 25<br>000× |

ჩვენ, აგრეთვე, შევისწავლეთ აორტის ინტიმასა და მედიაში მჟავე მუკოპოლისაქარიდების (მჟავე მპს) და ნეიტრალური მუკოპოლისაქარიდების (ნეიტრალური მპს) ცვლილებები სინათლურ მიკროსკოპში ჰისტოქიმიური მეთოდების გამოყენებით. კვლევის შედეგები ასახულია #4 და #5 ცხრილებში.

ცხრილი #4 (ნეიტრალური მპს)

| ჯგუფები | 0 დღე | 30 დღე | 60 დღე | 90 დღე |
|---|---|---|---|---|
| I | 0,079±0,012 | 0,079±0,012 | 0,079±0,012 | 0,079±0,012 |
| II | 0,079±0,012 | 0,096±0,014 | 0,109±0,013 | 0,125±0,016 |
| III | 0,079±0,012 | 0,084±0.011 | 0,092±0,013 | 0,108±0,011 |
| IV | 0,079±0,012 | 0,088±0,010 | 0,094±0,013 | 0,104±0,014 |
| V | 0,079±0,012 | 0,084±0,016 | 0,090±0,012 | 0,098±0,021 |
| VI | 0,079±0,012 | 0,082±0,014 | 0,086±0,016 | 0,091±0,011 |

ცხრილი #5 (მჟავე მპს)

| ჯგუფები | 0 დღე | 30 დღე | 60 დღე | 90 დღე |
|---|---|---|---|---|
| I | 0,119±0,021 | 0,119±0,021 | 0,119±0,021 | 0,119±0,021 |
| II | 0,119±0,021 | 0,180±0,025 | 0,260±0,031 | 0,244±0,022 |
| III | 0,119±0,021 | 0,140±0,019 | 0,220±0,023 | 0,255±0,034 |
| IV | 0,119±0,021 | 0,148±0,017 | 0,210±0,026 | 0,245±0,028 |
| V | 0,119±0,021 | 0,150±0,019 | 0,161±0,020 | 0,175±0,034 |
| VI | 0,119±0,021 | 0,141±0,023 | 0,148±0,027 | 0,167±0,031 |

ცხრილში N4 ჩვენ ვხედავთ, რომ ნეიტრალური მპს-ის რაოდენობა ექსპერიმენტის ყველა ეტაპზე II ჯგუფში მომატებულია. III ჯგუფში მისი რაოდენობა ექსპერიმენტის ყველა ვადაში ასევე მომატებულია, თუმცა II ჯგუფთან შედარებით ნაკლებად. მსგავსი ცვლილებები აღინიშნება IV ჯგუფშიც. V ჯგუფში ნეიტრალური მპს-ის რაოდენობის მატება ექსპერიმენტის ვადის ზრდასთან ერთად, II ჯგუფის შესაბამის ვადებთან შედარებით უმნიშვნელოა. ასევე მატულობს ნეიტრალური მპს-ის რაოდენობა VI ჯგუფში, თუმცა მინიმალურად და ნორმასთან შედარებით ეს მაჩვენებელი სარწმუნოა მხოლოდ 90-ე დღეს.

მჟავე მპს-ს დონე II ჯგუფში (ცხრილი #5) მაქსიმალურია 60-ე დღეს, 90-ე დღეს კი შემცირებულია, თუმცა ნორმასთან შედარებით 2-ჯერ არის მომატებული. ასევე მომატებულია, ნორმასთან შედარებით, მჟავე მპს-ის რაოდენობა III ჯგუფში.

მსგავსი ცვლილებები აღინიშნება IV ჯგუფშიც. მჟავე მპს-ის რაოდენობა ასევე მატულობს V ჯგუფშიც ექსპერიმენტის ვადის ზრდასთან ერთად და მაქსიმუმს აღწევს 90-ე დღეს. VI ჯგუფში ექსპერიმენტის ვადის ზრდასთან ერთად მჟავე მპს-ის რაოდენობა მატულობს, თუმცა ეს მატება ასევე უმნიშვნელოა სხვა ჯგუფებთან შედარებით.

ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აორტის ულტრასტრუქტურის შესწავლა. II ჯგუფის ცხოველების აორტის ულტრასტრუქტურაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ 30-ე დღეს აორტის ენდოთელური უჯრედების ციტოპლაზმაში შეიმჩნევა სხვადასხვა ზომის ვაკუოლების დიდი რაოდენობა (სურათი #5).



სურათი #5
ენდოთელური უჯრედების ინფილტრაცია ქოლესტერინით. ექსპ.ათეროსკლეროზის 30-ე დღე. ელექტრონული მიკროსკოპი, 9 000×



სურათი #6
შიდა ელასტიური მემბრანის ფრაგმენტაცია. ექსპ.ათეროსკლეროზის 30-ე დღე. ელექტრონული მიკროსკოპი, 16 000×

სუბენდოთელიუმის სისქე რამდენჯერმეა მომატებული ნორმასთან შედარებით. უჯრედშორის სივრცეებში ჩნდება ლიპიდური წვეთები. სახეზეა შიდა ელასტიური მემბრანის ფრაგმენტაცია (სურათი #6).

ზოგიერთ უბანში აღინიშნება გლუვკუნთოვანი უჯრედების გროვები, რომელთა ციტოპლაზმა ვაკუოლიზებულია და ემსგავსებიან „ქაფისებურ“ უჯრედებს (სურათი #7). მედიაში გლუვკუნთოვანი უჯრედები დეზორგანიზებულია, მათი ციტოპლაზმა ვაკუოლიზებულია, აღინიშნება სხვადასხვა ელექტრონული სიმკვრივის ლიპიდური წვეთები. აქვე ვხედავთ ორბირთვიან გლუვკუნთოვან უჯრედებს. მედიის გარე ნაწილში ჩნდებიან ერთეული კაპილარები. ადვენტიციაში შეცვლილია მიკროცირკულაციური კალაპოტი, კაპილარები უფრო დაკლაკნია, მათი სანათური შემცირებულია ენდოთელური უჯრედების შესივების გამო.

ექსპერიმენტის 60-ე დღეს ადგილი აქვს აღნიშნული ცვლილებების პროგრესირებას. ენდოთელური უჯრედების უმეტესი ნაწილი უკავიათ ლიპიდურ წვეთებს, ორგანელების რაოდენობა შემცირებულია, აღინიშნება კარიოპიკნოზიც. ამის პარალელურად სუბენდოთელიუმში აღინიშნება კოლაგენური ბოჭკოების ჩაზრდა. აქვე დიდი რაოდენობით ჩნდებიან ე.წ. ქაფისებური უჯრედები (სურათიN8).

|  |  |
| --- | --- |
| სურათი #7<br>ქაფისებური უჯრედები. ექსპ. ათეროსკლეროზის 30-ე დღე. ელექტრონული მიკროსკოპი, 20 000× | სურათი #8<br>ქაფისებური უჯრედები სუბენდოთელიუმში. ექსპ. ათეროსკლეროზის 60-ე დღე. ელექტრონული მიკროსკოპი, 20 000× |

ელასტიურ ბოჭკოებს დაკარგული აქვთ განივზოლიანობა, აღინიშნება მათი გაფაშრება და ფრაგმენტაცია (სურათი #9). მედიაში შეიმჩნევა გლუვკუნთოვანი უჯრედების დეზორგანიზაცია, კოლაგენური ბოჭკოების გამრავლება. გლუვკუნთოვანი უჯრედების ციტოპლაზმა ამოვსებულია ლიპიდური წვეთებით შემცირებული ორგანელების ფონზე. ადვენტიციის კაპილარები შეხებაში არიან მედიის გარე ფენასთან და არიან უფრო დაკლაკნილი ვიდრე ექსპერიმენტის 30-ე დღეს.

ექსპერიმენტის 90-ე დღეს ზემოთ აღნიშნული ცვლილებები კიდევ უფრო დამძიმებულია. ინტიმაში და მედიაში აღინიშნება ნეკროზული ცვლილებები, გამრავლებულია კოლაგენური ბოჭკოები (სურათი #10). მედიის გარე ფენაში აღინიშნება კაპილარების ჩაზრდა. ადვენტიციაში მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია, წინა ვადასთან შედარებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ადვენტიციაში, ისე სუბენდოლურ სივრცეში ადგილი აქვს ექსტრავაზატებს, ერითროციტებისა და თრომბოციტების უპირატესი შემადგენლობით.



სურათი #9
ელასტიური ბოჭკოების განლევა და მათი ჩანაცვლება კოლაგენურით. ექსპ.ათეროსკლეროზის 60-ე დღე. ელექტრონული მიკროსკოპი, 16 000×



სურათი #10
ელასტიური ბოჭკოების განლევა და მათი ჩანაცვლება კოლაგენურით. ექსპ.ათეროსკლეროზის 90-ე დღე. ელექტრონული მიკროსკოპი, 16 000×

III და IV ჯგუფის ბოცვერებში ულტრასტრუქტურული ცვლილებები ნაკლებადაა გამოხატული. ექსპერიმენტის ვადის ზრდასთან ერთად დისტროფიული ცვლილებები ღრმავდებიან, თუმცა ნაკლებად, ვიდრე II ჯგუფში. ორივე ჯგუფის ცხოველების აორტის ადვენტიციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება, უჯრედებში ორგანელების რაოდენობა უფრო შენარჩუნებულია, აღინიშნება მათი შესივებაც.

V ჯგუფის ცხოველების აორტის ინტიმაში ულტრასტრუქტურული გადახრები ნაკლებადაა გამოხატული II, III და IV ჯგუფებთან შედარებით. ექსპერიმენტის 30-ე დღეს ენდოთელიოციტების ციტოპლაზმაში ჩნდებიან ვაკუოლები, თუმცა მნიშვნელოვნად ნაკლები II ჯგუფთან შედარებით. შიდა ელასტიური მემბრანის მთლიანობა შენარჩუნებულია. 60-ე დღეს ენდოთელიოციტებში მიტოქონდრიების რაოდენობა შემცირებულია. ენდოთელიოციტებს შორის სივრცეები უმნიშვნელოდ არის გაზრდილი, აქვე აღინიშნება ლიპიდური წვეთები. შიდა ელასტიური მემბრანის მთლიანობა ადგილ-ადგილ დარღვეულია, მათ ადგილს კი იკავებენ ქაფისებური უჯრედები. მედიაში გლუვკუნთოვანი უჯრედების ციტოპლაზმაში მნიშვნელოვანი დისტროფიული ცვლილებებია. ადვენტიციაში კაპილარების სანათურები ნაკლებადაა შემცირებული. 90-ე დღეს მდგომარეობა უფრო დამძიმებულია. ენდოთელიოციტებს შორის კონტაქტი დარღვეულია. სუბენდოთელურ სივრცეში აღინიშნება ქაფისებური უჯრედების მრავლობითი დაჯგუფებები. აღინიშნება ელასტიური ბოჭკოების გაფაშრება და ფრაგმენტაცია. გამქრალია მათი განივზოლიანობა. მედიაში გლუვკუნთოვანი უჯრედები დეზორგანიზებულია,

დისტროფიულია. მედიის გარე შრეში შეიმჩნევიან კაპილარები. ადვენტიციაში კაპილარები დაკლაკნილია, მათი სანათურები კი შემცირებულია.

VI ჯგუფის ბოცვერებში აორტის ინტიმაში ცვლილებები, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ნაკლებად არის გამოხატული. 30-ე დღეს უჯრედებში ორგანელების რაოდენობა თითქმის ისეთია, როგორც ნორმაში, თუმცა შესივებულებია. მიტოქონდრიებში კრისტები კარგად არის გამოხატული. ენდოთელიოციტებში შეინიშნება ერთეული ლიპიდური ჩანართები. იგივე ცვლილებებია გლუვკუნთოვან უჯრედებში. ადვენტიციაში კაპილარების სანათური არ არის შემცირებული. 60-ე დღეს აღნიშნული ცვლილებები მატულობს. ადვენტიციაში კაპილარების სანათური უმნიშვნელოდაა შემცირებული. 90-ე დღეს ენდოთელიოციტებს შორის მანძილი გაზრდილია. ენდოთელიოციტების და გლუვკუნთოვან უჯრედების ციტოპლაზმაში ლიპიდურ ჩანართებს მნიშვნელოვანი ფართობი უკავიათ, აღინიშნება ორგანელების ნაკლები რაოდენობა. მცირე ლიპიდური ჩანართები აღინიშნება სუბენდოთელურ სივრცეში, სადაც აგრეთვე ჩანან ერთეული ქაფისებური უჯრედები. ადვენტიციაში კაპილარების სანათური უმნიშვნელოდა არის შემცირებული.

ცხრილი #6

| ჯგუფები | ლიპიდური ჩანართების ფართი (%) | | |
|---|---|---|---|
| | 30 დღე | 60 დღე | 90 დღე |
| I | 0 | 0 | 0 |
| II | 30 | 56 | 86 |
| III | 24 | 50 | 74 |
| IV | 22 | 48 | 68 |
| V | 12 | 20 | 44 |
| VI | 10 | 16 | 32 |

ამგვარად, ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის პირობებში აორტის ულტრასტრუქტურაში ვლინდება მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. ჩვენს მიერ გამოყენებული საშუალებების ზემოქმედებისას კი ეს ცვლილებები საკმაოდ არის გაუმჯობესებული, მათი კომპლექსური ზემოქმედებისას კი მკაფიოდ.

აორტის მაკროსკოპული შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემები წარმოდგენილია #6 ცხრილში. აღნიშნული ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიპიდური ჩანართების ფართის ზრდა აორტის ინტიმაში ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის ვადის ზრდასთან ერთად, გამოწვეულია არა მხოლოდ სისხლის შრატში საერთო ქოლესტერინისა და β-ლიპოპროტეიდების მატებით, არამედ მათთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორებითაც, როგორიც არიან თრომბოციტების ფუნქციური მდგომარეობის გაუარესება, აორტის კედელში განვითარებული ნეგატიური ხასიათის ულტრასტრუქტურული ცვლილებები, ნეიტრალური და მჟავე მუკოპოლისაქარიდების რაოდენობის მატება, რის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, ნაყოფიერი ნიადაგი ექმნება ლიპიდების ჩალაგებას აორტის ინტიმაში. აღნიშნულის ფონზე, კი ჩვენს მიერ გამოყენებული პრეპერატების (ასპირინი, ტრენტალი) ზემოქმედებამ, აგრეთვე დაბალინტენსიური ჰელიუმ-ნეონის წითელი ლაზერის გამოყენებამ, განსაკუთრებით კი ყველა მათგანის კომპლექსმა გამოიწვიეს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აორტის ინტიმაში, ე.ი. ათეროსკლეროზული პროცესის განვითარების შეჩერება, რაც გამოწვეულია მის კედლში მეტაბოლური პროცესების ნორმალიზებით.

## ლიტერატურა


1. Lusis AJ. Atherosclerosis. Nature. 2000; 407. 233–241.
2. Автандилов Г.Г. Динамика атеросклеротического процесса у человека. М.: Медицина. 1970. - 208 с.
3. Репин В.С., Клеточные механизмы атеросклероза. М. 1987
4. Zinzadze K., Tavkhelidze T. et al. The effekt of Pentoxilline on the flou properties of blood in experimental atherosclerosis in rabbits. Pharmatherapeutica, 2,1, 1978.
5. Rosenson RS, Brewer HB Jr. at al. Cholesterol efflux and atheroprotection: advancing the concept of reverse cholesterol transport. Circulation. 2012;125.1905–1919
6. Kannel W.B. New insights on cholesterol-lipoprotein profiles: the Framingam Study / W.B. Kannel, R.B. D'Agnostino, A.J. Belanger // Circulation. - Suppl. II . - 1988. - № 78. 220 - 280.
7. Люсов В.А., Белоусов В.Б. Антитромботическая терапия ИБС. Кардиология, 1974, 7, 113-121.
8. Чазов Е.И. Итоги и перспективы исследования атеро- и тромбогенеза в СССР. В кн.: Стенка сосудов в атеро- и тромбогенезе. М., Медицина,1983, 195-204.
9. Metha J., Metha , Conti C. R. Increased platelet prostsglandin generation and endoperoxide analog in angina pectoris. Amer. Heart Jornal, 1983, Vol. 105, 6, 895-908.
10. Беляев А.А., Рагимов С.Э., Афанасьева А.С. Применение лазеров при сердечно-сосудистых заболеваниях (обзор), Тер. Архив, 1986, 5, 139-146.

11. Kipshidze N., Tavkhelidze T. Treatment of Atherosclerosis with a Helium-Neon Laser. In: 9th International Simposium on Atherosclerosis. Abstracts. 1991. Rosemont (Illinois,USA)
12. Беляев А.А., Рагимов С.Э., Афанасьева А.С. Применение лазеров при сердечно-сосудистых заболеваниях (обзор), Тер. Архив, 1986, 5, 139-146.
13. Корочкин И.М. и др. Влияние гелий-неонового лазера на ИБС. IV съезд кардиологов, 22-24 октября 1986 г., Москва, 60-61.
14. Цинцадзе К. И., Тавхелидзе Т. Д. и др. Влияние Трентала на реологические свойства крови при экспериментальном атеросклерозе у кроликов. Сб. Докладов симп.: Клиническое применение препарата Трентал. Москва, 30 марта 1977 г., 80-82.

## რეზიუმე

## ლაზერითდასხივებისადაზოგიერთიპრეპარატისგავლენაექსპერიმენტულიათეროსკლეროზისმიმდინარეობაზე

ათეროსკლეროზიფართოდგავრცელებულიდაავადებაა. ისძირითადადმსხვილ (ელასტიურიდაკუნთოვან-ელასტიურიტიპის) არტერიებსაზიანებს. ათეროსკლეროზისმრისხანეგართულებებიაგულისკუნთისინფარქტი, თავისტვინისინსულტი, ქვემოკიდურებისგანგრენადაა.შ. საკითხისაქტუალურობიდანგამომდინარე, მრავალმაავტორმამიუძღვნაათეროსკლეროზსარაერთიკვლევა. ისევე, როგორცადამიანისათეროსკლეროზისშემთხვევაში, ასევეექსპერიმენტულიათეროსკლეროზისგანვითარებაშიმნიშვნელოვანიადგილი უკავიათქოლესტერინსდაβ-ლიპოპროტეიდებს. მნიშვნელოვანიააგრეთვეთრომბოციტებისროლიაღნიშნულპათოლოგიაში. ათეროსკლეროზისპრევენციასადამკურნალობასარაერთიშრომამიეძღვნა. ამმიზნითრიგიავტორებისმიერსხვადასხვასაშუალებებთანერთადგამოყენებულიი ყოჰელიუმ-ნეონისლაზერიც.თუმცასაკვლევიჯერკიდევბევრია.

ჩვენიკვლევისმიზანი, ამჯერად, იყოექსპერიმენტულათეროსკლეროზზეტრენტალით, ასპირინით, აგრეთვეჰელიუმ-ნეონისლაზერითზემოქმედებადაამპირობებშითრომბოციტებისფუნქციურიმდგომარეობისშესწავლა, აგრეთვეაორტისინტიმისლიპიდურიჩანართებისმორფომეტრია, აორტისკედლებშიმიმდინარემორფოლოგიურცვლილებებისშესწავლაელექტრონულიმიკროსკოპიისმეთოდით, ნეიტრალურიდამჟავემუკოპოლისაქარიდებირაოდენობისგანსაზღვრა.

ჩატარებულიკვლევისშედეგებზედაყრდნობით, ჩვენვფიქრობთ, რომლიპიდურიჩანართებისფართისზრდააორტისინტიმაშიექსპერიმენტულიათეროსკლეროზისვადისზრდასთანერთად, გამოწვეულიაარამხოლოდსისხლისშრატშისაერთოქოლესტერინისადაβ-ლიპოპროტეიდებისმატებით, არამედმათთანდაკავშირებულიისეთიფაქტორებითაც, როგორიცარიანთრომბოციტებისფუნქციურიმდგომარეობისგაუარესებადააორტისკედელშიგანვითარებულინეგატიურიხასიათისულტრასტრუქტურულიცვლილებები (ენდოთელურიუჯრედებისციტოპლაზმაშისხვადასხვაზომისვაკუოლებისდალიპიდურწვეთებისდიდირაოდენობაშემცირებულიორგანელებისადგილზე, დიდირაოდენობითწარმოქმნილიე.წ. ქაფისებურიუჯრედები, განივზოლიანობადაკარგული,

გაფაშრებულიდაფრაგმენტირებულიელასტიურიბოჭკები).
ამასთანსუბენდოთელიუმშიაღინიშნებაკოლაგენურიბოჭკოებისჩაზრდა,
ადვენტიციაშიმიკროცირკულაციურიკალაპოტისშეცვლა,
ძლიერდაკლაკნილიკაპილარები,
მომატებულიანეიტრალურიდამჟავემუკოპოლისაქარიდებისრაოდენობადაა.შ.
ყოველივეაღნიშნული, საბოლოოჯამში, ნაყოფიერნიადაგსუქმნისლიპიდებისჩალაგებასაორტისინტიმაში.
აღნიშნულისფონზე, კიჩვენსმიერგამოყენებულიპრეპარატების (ასპირინი, ტრენტალი) ზემოქმედებამ, აგრეთვედაბალინტენსიურიჰელიუმ-ნეონისწითელილაზერისგამოყენებამ,
განსაკუთრებითკიყველამათგანისკომპლექსმა,
გამოიწვიესმდგომარეობისმნიშვნელოვანიგაუმჯობესებააორტისინტიმაში, ე.ი. ათეროსკლეროზულიპროცესისგანვითარებისშეჩერება,
რაცგამოწვეულიამისიკედლისმეტაბოლიზმისნორმალიზებით.

# Резюме

**Влияниелазерногооблученияинекоторыхпрепаратовнатечениеэкспериментальногоатеросклероза**

Атеросклерозраспространенноезаболевание. Этозаболеваниевосновномповреждаеткрупныеартерии. Грознымиосложнениямиатеросклерозаявляютсяинфарктмиокарда, инсультголовногомозга, гангренанижнихконечностейит.д. Неодноисследованиепосвятилиэтойпроблемемногиеавторы. Какприатеросклерозечеловека, такиприэкспериментальноматеросклерозеважноеместозанимаютхолестеринβ - липопротеины. Важнаярольвданнойпатологиипринадлежиттромбоцитам. Многочисленныеработыпосвященыпревенцииилечениюатеросклероза. Сэтойцелью, средидругихсредств, рядомавторовбылиспользовантакжегелий-неновыйлазер. Темнеменее, ещеестьнадчемпоработать.

Цельюнашегоисследования, наэтотраз, былоизучениевлиянияТрентала, Аспирина, атакжеГелий-неоновоголазеранаэкспериментальныйатеросклерозивэтихусловияхопределениефункциональногосостояниятромбоцитов, морфометриялипидныхвключенийинтимыаорты, электронно-микроскопическоеисследованиестенокаорты, установлениеколичестванейтральныхикислыхмукополисахаридоввстенкахаорты.

Наоснованиипроведенныхисследований, мысчитаем, чторостлипидныхвключенийинтимыаортыприэкспериментальноматеросклерозеувеличивается, нетолькоиз-заувеличенияобщегохолестеринаиβ - липопротеиноввсывороткекрови, ноизасчёттакихфакторов, какухудшениефункциональногосостояниятромбоцитов, негативныеультраструктурныеизменениявстенкеаорты(увеличениеколичествалипидныхкапельивакуолейвэндотелиальныхклетках, большоеколичествотакназываемыхпенистыхклеток,

эластическиеволокнаспотерянnoйпоперечнойисчерченностьюифрагментацией). Крометогонаблюдаетсяврастаниеколлагеновыхволоконвсубэндотелий, вадвентицийотмечаетсяизменениемикроциркуляционногорусла, сильноизвитыхкапилляров, увеличениеколичестванейтральныхикислыхмукополисахаридовит.д. Всеэто, вконцеконцов, способствуетотложениюлипидоввинтимеаорты. Наэтомфонеиспользованныенамипрепараты (Аспирин, Трентал), атакжеоблучениеГелий-неоновымлазером, особенноихкомплекс, вызываютзначительноеулучшениеситуациивинтимеаорты, т.е. торможениеразвитияатеросклеротическогопроцесса, чтовызванонормализациейметаболизмастенкиаорты.

## Resume


### Effectoflaserirradiationandsomedrugsonthecourse ofexperimentalatherosclerosis

Atherosclerosisisacommondisorder. Thediseasemainlyaffectsthelargearteries. Severecomplicationsofatherosclerosisaremyocardialinfarction, cerebralstroke, gangreneofthelowerlimbs, etc. Notonestudydevotedtothisproblem, manyauthors. Bothatanatherosclerosisoftheperson, andatanexperimentalatherosclerosistheimportantplaceoccupycholesterolandβ-lipoprotein. Animportantroleinthisdiseaseisownedandplatelets. Numerousworksdevotedtothepreventionandtreatmentofatherosclerosis. Tothisend, amongothermeans, hasbeenusedbyseveralauthorsasHelium-neonlaser. Nevertheless, stillisoverwhattowork.

Thepurposeofourstudy, thistime, wastostudytheeffectofTrental, aspirin, andhelium-neonlaseronexperimentalatherosclerosisandinthesecircumstancesthedefinitionofthefuncti onalstateofplateletmorphometrylipidinclusionsaorticintima, electronmicroscopicexaminationoftheaorticwall, settingthenumberofneutralandacidmucopolysaccharidesinthewallsoftheaorta.

Onthebasisofthespentresearches, weconsider, thatgrowthoflipidinclusionsaortaintimsatanexperimentalatherosclerosisincreases, notonlybecauseofincreaseinthegeneralcholesterolandβ-lipoproteininbloodwhey, butalsofortheaccountofsuchfactors, asdeteriorationofafunctionalconditionofplatelets, negativeultrastructuralchangesinanaortawall (increaseinquantityoflipiddropsandvacuolesinendothelialcells, aconsiderablequantityofso-

calledfoamycells, elasticfibreswiththelostcross-striatedbandingandafragmentation). Besidesgrowingofcollagenicfibresintoasubendotheliallayer, intoanadventitiaisobservedchangeofamicrocirculatingchannelismarked, theincreaseinquantityofneutralandsourmucopolysaccharidesetc. Allit, eventually, promotesadjournmentoflipidsinanaortaintim. Onthisbackgroundthepreparationsusedbyus (Aspirin, Trental), andalsoanirradiationHelium-neonthelaser, especiallytheircomplex, causeconsiderableimprovementofasituationinanaortaintim, i.e. brakingofdevelopmentofatheroscleroticprocessthatiscausedbynormalisationofametabolism ofawallofanaorta.

## მოსახსნელი პროთეზებით მოსარგებლე პაციენტების გაძღოლის ალგორითმის დასაბუთება კბილების ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში.

ე. მამფორია

სტატია ეძღვნება სტომატოლოგიის აქტუალურ პრობლემას – მოსახსნელი პროთეზების გავლენას პროთეზის სარეცელის რელიეფის ცვლილების ინტენსივობაზე. შესწავლილია იმ პაციენტების პროთეზის სარეცელის რელიეფი, რომლებიც 2 წლის განმავლობაში სარგებლობდნენ მოსახსნელი ფირფიტოვანი ან ბიგელისებური პროთეზებით. ყველაზე დიდ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა ფირფიტოვანი პროთეზების ქვეშ დიდი განფენილობის დეფექტების დროს, ყველაზე ნაკლებ ცვლილებებს განიცდიდნენ მცირე განფენილობის დეფექტების მქონე პაციენტები, რომლებიც ფირფიტოვანი პროთეზებს ხმარობდნენ. კბილთა მწკრივების საბოლოო დეფექტების არსებობისას ბიგელისებური პროთეზების ქვეშ რელიეფის ცვლილება აღემატებოდა ფირფიტოვანი პროთეზების ქვეშ რელიეფის ცვლილებას პროთეზის მოხმარების ნებისმიერი ვადის პირობებში. მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავებულია პაციენტების გაძღოლის ალგორითმი

მოსახსნელი ფირფიტოვანი და ბიგელისებური პროთეზებით სარგებლობის სხვადასხვა პერიოდებისთვის.

კბილების ნაწილობრივი დაკარგვა ყბა-კბილთა სისტემის პათოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. კბილთა მწკრივების დეფექტების აღდგენას მოსახსნელი პროთეზების დახმარებით ხშირად თან სდევს ალვეოლური მორჩის ან ალვეოლური ნაწილის ატროფიის არასასურველი პროცესები. ამ დროს შესაძლებელია ისეთი გართულებები, როგორიცაა შენარჩუნებული კბილების საყრდენ-შემაკავებელი აპარატის გადატვირთვა და მათი მოძრაობის ზრდა. გარდა ამისა, პროთეზის სარეცლის ქსოვილების რელიეფის ცვლილება იწვევს შეუსაბამობას პროთეზის შიდა რელიეფსა და მის ქვეშ მდებარე ქსოვილებს შორის, რასაც შედეგად მოსდევს პირის ღრუში პროთეზის ბალანსირება და ქვეშ მდებარე ქსოვილებზე გაძლიერებული ზეწოლის უბნების წარმოქმნა. ეს ართულებს განმეორებით პროთეზირებას და მნიშვნელოვნად ამცირებს კბილების ნაწილობრივი დაკარგვის გამო მოსახსნელი პროთეზებით სარგებლობის ვადებს. თუმცა, პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია პროთეზის სარეცელზე მოსახსნელი პროთეზების პათოლოგიური ზეგავლენის შემცირება. ასეთ ღონისძიებებად გვევლინება პროთეზის ბაზისის სრული გამოცვლა, ოკლუზიური კონტაქტების კორექცია და მოსახსნელი პროთეზების ხმარებით გამოწვეული გადატვირთვის უბნების გამოვლენა კბილების ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში. თუმცა, ჩვენ მიერ შესწავლილ ლიტერატურაში საკმარისად მკაფიოდ არ არის განსაზღვრული დისპანსერული დაკვირვების ფარგლებში საკონტროლო გასინჯვების ვადები და იმ პროფილაქტიკური ღონისძიებების თანამიმდევრობა, რომელთა გამოყენებით შესაძლებელიაპროთეზის ქვეშ მდებარე ქსოვილების ცვლილების ინტენსივობის შემცირება.

**ჩვენი კვლევის მიზანი** იყო კბილების ნაწილობრივი დაკარგვის გამო მოსახსნელი ფირფიტოვანი და ბიგელისებური პროთეზებით მოსარგებლე პაციენტების -- ალგორითმის შემუშავება, პროთეზირების შემდგომ სხვადასხვა ვადებში რელიეფის ცვლილების შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კვლევა წარმოებდა 37-დან 64 წლამდე ასაკის 56 ადამიანზე (23 მამაკაცზე და 33 ქალზე). კვლევაში არ იყვნენ ჩართული სუპლეს კლასიფიკაციით პროთეზის სარეცლის IV ტიპის ლორწოვანი გარსის მქონე, პაროდონტის მძიმე და საშუალო სიმძიმის დაავადებების, ასევე სომატური პათოლოგიების (შაქრიანი დიაბეტის, სისხლის, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების და ა. შ.) მქონე პაციენტები. დამზადდა ქვედა ყბის 27 ცალი ბიგელისებური და 29 ცალი ნაწილობრივი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზი, სულ 56 ცალი მოსახსნელი პროთეზი. კბილთა მწკრივის დეფექტების განფენილობა შეადგენდა 4-5 დაკარგულ კბილს. მოსახსნელი პროთეზები ყველა პაციენტისთვის ან პირველად მზადდებოდა, ან პაციენტები, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ სარგებლობდნენ პროთეზებით 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. პროთეზები მზადდებოდა სტანდარტული მეთოდიკით. ატროფიის გამოხატვის ხარისხი შეისწავლებოდა სამგანზომილებიანი კომპიუტერული მოდელების შედარებით, რომლებიც მიიღებოდა მოსახსნელი პროთეზების ხმარების სხვადასხვა ვადებში დამზადებული თაბაშირის მოდელების სკანირების მეთოდით. თაბაშირის მოდელები მზადდებოდა ანაბეჭდების მიხედვით, რომლებსაც იღებდნენ პროთეზის მორგების დღეს და საკონტროლო გასინჯვების დროს 3, 6, 12, 18 და 24 თვის შემდეგ. თაბაშირის მოდელების მიხედვით პროთეზის სარეცელის რელიეფის ცვლილების ობიექტურად შესაფასებლად ანაბეჭდის დამზადებისას გამოიყენებოდა მეთოდიკა, რომელიც იძლეოდა ქვეშ მდებარე ქსოვილების რელიეფის გამოხატვის საშუალებას ერთნაირი ზეწოლის პირობებში. პროთეზის სარეცელის ქსოვილების მიმართ ინდივიდუალური სარეცელის ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრის მიზნით, დარჩენილი კბილებისთვის გამოიყენებოდა პოლისტიროლის ფირფიტისგან თერმული ფორმირების მეთოდით დამზადებული კაპა. კაპას გარე ზედაპირზე ფრონტალური კბილების საჭრელი კიდეების ცენტრზე გავლით და გვერდითი კბილების ოკლუზიურ ზედაპირზე მაგრდებოდა გაცხელებული, 1,5 მმ დიამეტრის ლითონის შტიფტები, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად იყო განლაგებული. შემდეგ კაპა თავსდებოდა თაბაშირის მოდელზე და იწყებოდა პლასტმასისგან ინდივიდუალური კოვზის დამზადება სინათლის სხივებით პოლიმერიზაციის

მეთოდით. ინდივიდუალური კოვზი და მასზე მოთავსებული კაპა ივსებოდა დაბალი სიბლანტის მქონე პოლიეთერული საანაბეჭდო მასალით (რომელსაც ავტომატურად ურევდნენ შემრევში) და შეჰქონდათ პირის ღრუში. წკირებიან კაპაზე დაყრდნობით ინდივიდუალური კოვზი პროთეზის სარეცლის მიმართ უძრავად თავსდებოდა, რაც ლორწოვან გარსზე ერთნაირი დაწოლის პირობებში რამდენიმე ანაბეჭდის მიღების საშუალებას იძლეოდა.

სკანირებისთვის გამოიყენებოდა მაღალი სიმტკიცის თაბაშირისგან დამზადებული მოდელები. სამგანზომილებიანი სკანირება ტარდებოდა 0,01 მმ სიზუსტით, სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით. მოსახსნელი პროთეზებით სარგებლობის სხვადასხვა ვადებში აღებული თაბაშირის მოდელების სამგანზომილებიან კომპიუტერულ გამოსახულებებს ერთმანეთს უთავსებდნენ საყრდენი კბილების რელიეფის მიხედვით, Rapid Form პროგრამის გამოყენებით. პროთეზის სარეცელის რელიეფის ცვლილება ვიზუალურად ფასდებოდა სამგანზომილებიანი მოდელის ფერთა გამის მიხედვით, რომელიც ცვლილებების სიდიდისა და მდებარეობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ნაშრომში მოცემულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოტივაციის ახალი მიდგომების შესწავლისა და გამოყენების საკითხები. განსაზღვრულია პერსონალის მოტივაციის როლი და მნიშვნელობა ფირმის სტრატეგიულ განვითარებაში, მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაში, და რეკომენდაციების შემუშავებაში. ნაშრომში სისტემური მიდგომით შესწავლილია თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები, რაც მიმართულია პერსონალის მოტივაციის სისტემის კვლევაზე ჯანდაცვის ობიექტებში.

Приоритеты использования принципов мотивации в обиектах здравохранения

## Резюме


[illegible]

[illegible]

[illegible]


## Usefulness of priorities of motivation principles in healthcare

Resume


Keywords: principles of motivation, internal and external reasons, systematic approach, motivational structure, strategic development of the company.



This paper gives the application and explore new approaches to the market economy, the role and importance of motivation in the strategic development of the company, the implementation of significant changes and the development of recommendations.

In this paper, in a systemic approach to study theoretical, methodological and practical issues which are aimed at the study of staff motivation

მაია ლომსაძე-კუჭავა
მენეჯმენტის დოქტორი, პროფესორი

## ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა და საინვესტიციო გარემო საქართველოში

ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობს წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების პროცესში.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარებში.

ინვესტიციებში იგულისხმება ეკონომიკურ სისტემაში მოქმედი კაპიტალის მოცულობის ზრდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიცია წარმოადგენს სხვადასხვა ინსტრუმენტებით განხორციელებული გარკვეული ხარჯების ერთიანობას აწმყოში და შესაძლო გაფართოებულ მოთხოვნას მომავალში.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ინვესტიციის ორგვარი განსაზღვრა: პირველი, ეკონომიკური ანუ არსობრივი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია არის სამომავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტი გაზრდილი მოცულობით და მეორე - ტექნიკური, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია დანახარჯების ჯამია. ორივე ეს ასპექტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ურთიერთს განსაზღვრავს.

ამასთან, ინვესტიციების განხორციელება დასაშვებია, როდესაც მოცემული საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში ინვესტიციების კაპიტალური ღირებულება $C_0$, მისი რეალიზაციის საწყის ეტაპზე არ არის უარყოფითი:

$$C_0 = \frac{\sum bt\text{-}at}{1+j} \geq 0,$$

სადაც t - მოქმედების დროა,

b - დარიცხვები,

a - გადახდები.

აღნიშნული პრინციპი მეტყველებს იმაზე, რომ მოცემული საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ინვესტიციები მისაღებია, როდესაც ყოველწლიური საშუალო შემოსავლები აჭარბებს შესაბამის დანახარჯებს. შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების არსებობისას უპირატესობა ენიჭება იმ ვარიანტს, როდესაც მოცემული საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში გარკვეული მომენტისათვის კაპიტალური ღირებულება მინიმალურია.

ცნება “საინვესტიციო გარემო” მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ითვალისწინებს ინვესტორი კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე და რომელიც, საბოლოო ჯამში აისახება ისეთ კომპლექსურ მაჩვენებელზე, როგორიცაა საინვესტიციო რისკი.

საქართველოს კანონმდებლობით “ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა, ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე”.

სამეწარმეო საქმიანობის ობიექტებში ინვესტიციები სხვადასხვა ფორმით. აღრიცხვის, ანალიზის და დაგეგმვისათვის ისინი კლასიფიცირდება ცალკეული ნიშნის მიხედვით.

როდესაც საუბარია საინვესტიციო გადაწყვეტილების შესახებ, აქტუალური ხდება რისკ-ფაქტორების გაანალიზების საკითხი. ინვესტიციების მოსალოდნელი შედეგების შეფასებისას გამოიყენება:

“სუფთა დღევანდელი ღირებულების” მეთოდი, რითაც განისაზღვრება მომავალში მოსალოდნელი შემოსავლების დღევანდელი ღირებულება;

“უკუგების საპროცენტო განაკვეთი”, როდესაც პროექტზე გაწეული დანახარჯები ამ პროექტის განხორციელების შემდეგ მისაღები შედეგების

მიხედვით დგინდება; ინვესტიციის “ამოღების” მეთოდი, რაც განისაზღვრება ინვესტიციაზე გაწეული დანახარჯების ამოღება.

კაპიტალდაბანდების განხორციელებამდე ინვესტორისთვის გადასაწყვეტი ძირითადი რისკ-ფაქტორები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: განვიხილოთ პოლიტიკური რისკი, რომელიც უკავშირდება ქვეყნის შიგნით მოსალოდნელ სამოქალაქო არასტაბილურობას. ინვესტიციების ეკონომიკური არსის დახასიათების შემდეგ, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სახსრების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ინვესტორის მიერ გასავლელი ეტაპები.

პირველი ეტაპი, მიმართულია კაპიტალის სწრაფი ზრდისკენ – ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპზე ინვესტორს, როგორც წესი, აქვს შეზღუდული რაოდენობის თანხა, ამიტომ იგი მიისწრაფვის სახსრების სწრაფი მიღებისკენ, დროის შედარებით მოკლე განაკვეთში;

მეორე ეტაპი მნიშვნელოვანი ხდება კაპიტალის ზრდის ხარისხი და ინვესტიციისაგანა მიმდინარე შემოსავლის მიღება;

მესამე ეტაპი, მოიცავს კაპიტალის შენარჩუნებას, მდგრადი და, ამასთან, მაღალი შემოსავლის მიღებას.

ინვესტიციები იყოფა აგრეთვე რისკის მიხედვით: ურისკო, დაბალი რისკის, საშუალო რისკის, მაღალი რისკის ინვესტიციებად.

ურისკო ინვესტიციებია, როდესაც საშუალებების დაბანდება ხდება ისეთ ობიექტებში, საიდანაც გარანტირებულია მოგების მიღება. დაბალი რისკის ინვესტიციებად ითვლება სადაც კაპიტალი იდება ისეთ ობიექტებში, რომელშიც რისკი დაბალია საშუალო საბაზრო დონეზე. საშუალო რისკის ინვესტიციებია, როდესაც რისკი შეესაბამება საშუალო საბაზრო დონეს. მაღალი რისკის ინვესტიციებად ითვლება როცა რისკი მაღალია საშუალო საბაზრო დონესთან შედარებით.

სქემატურად ინვესტირების პროცესი შემდეგნაირად გამოიყურება:




*ნახ. 1.*

ინვესტიცია ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, მხოლოდ ინვესტიციების გამოყენებით ხდება ეკონომიკის წინსვლა.

მეწარმე, რომ აწყობილი საქმიდან მიღებულ მოგებას მხოლოდ თავის კეთილდღეობას ახმარდეს და მოგების ნაწილს არ დებდეს უკან მის გაფართოებაში, მაშინ ეკონომიკა ერთ ადგილზე გაიყინებოდა. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შექმნას, რისთვისაც სახელმწიფომ სათანადო ხელშეწყობა უნდა გაუკეთოს ინვესტორს ადგილობრივი იქნება ეს (უფრო მეტადაც) თუ გარედან შემოსული.

იმისათვის, რომ სწორად და საღად წარიმართოს საინვესტიციო პროცესი ერთ ერთი მთავარი პირობაა სწორი საინვესტიციო პოლიტიკის არსებობა.

ამ მიზნით კანონმდებლობაში გათვალისწინებულ უნდა იქნას საინვესტიციო კაპიტალის გადასახადებიდან გათავისუფლება გარკვეული დროით, ინვესტიციის დაცვა, რეინვესტიციის(ინვესტირებით მიღებული მოგების ისევ საქმეში უკან ჩადება) წახალისება და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ძირითადი ეტაპების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე და საპროგნოზო ეტაპებზე მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვა ემყარება ორ მთავარ ფაქტორს, რომელთაგან ერთ-ერთია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს ფისკალური პოლიტიკის შესაბამის ცვლილებებს, სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რათა ეკონომიკის დროებითი გამოცოცხლების საფუძველზე, საფინანსო-საბანკო სისტემის მონაწილეობით, უზრუნველყოს გრძელვადიანი ზრდა.

რაც უმთავრესია საინვესტიციო პოლიტიკაში ეს არის როგორი საინვესტიციო გარემო იქნება ქვეყანაში.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების რიცხვის გაზრდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებელ ხელშეკრულებებს, ვინაიდან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო, ერთი მხრივ, უკავშირდება იმ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობას, სადაც განხორციელდა ინვესტიცია, ხოლო მეორე მხრივ – იმ ქვეყნისას, რომლის რეზიდენტიცაა ინვესტორი.

ქვეყნებს შორის შესაბამისი ხელშეკრულების არ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება იწვევს ორმაგ დაბეგვრას, რაც მეტად უარყოფითად აისახება კაპიტალის მოძრაობაზე და, შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელებაზე.

ინვესტიციების განხორციელებისას ყველაზე დიდი შემაფერხებელი პრობლემა, კორუფციასთან ერთად, არის ბიუროკრატია, რაც სერიოზულ ბარიერს უქმნის ყოველ ინვესტორს.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნაკლოვანებას წარმოადგენს ასევე ე.წ. დამატებითი ხარჯების მაღალი დონე, მხედველობაში გვაქვს: კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდება და აქედან გამომდინარე, მეწარმეების დამატებითი ხარჯების ზრდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

უცხოელი მეწარმეები ერთხმად აცხადებენ, რომ ყველაზე მეტ პრობლემებს ისინი საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას აწყდებიან. არანაკლებ მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ქვეყნის არასრულყოფილი საბანკო სისტემაც. იგულისხმება, სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები და ბანკების მიერ, ძირითადად, მოკლევადიანი კრედიტების გაცემა. საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

საქართველოში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ არსებული სიძნელეების გამო მრავალი საინვესტიციო კომპანია იკავებს თავს საქართველოში ინვესტიციების დაბანდებაზე.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს. საინვესტიციო პოლიტიკის საშუალებით შესაძლებელია წარმოების მოცულობის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის დინამიკაზე ზემოქმედება.

საერთოდ საინვესტიციო პოლიტიკა გამომდინარეობს მაკრო და მიკროეკონომიკური ინვესტირების შერწყმაში. ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპი იქმნება ყველა ეკონომიკური ბერკეტით - სახელმწიფო შეკვეთებით, საკრედიტო, საგადასახადო, საამორტიზაციო და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტებით სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობისათვის მიზანშეწონილი ეკონომიკური გარემოს შექმნით.

სტაბილური საინვესტიციო გარემო ჩვენ ქვეყანაში მოზღვავებული და პორტფელური ინვესტიციების მოზიდვის საწინდარია. საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა იხვეწება და ორიენტირებულია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე.

სახელმწიფოს ამოცანაა შეიმუშაოს მწყობრი, პერსპექტივაზე გათვლილი, დაბალანსებული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა და შექმნას მისი რეალიზაციისათვის საჭირო სამართლებრივი, ეკონომიკური და ადმინისტრაციული მექანიზმები, რაც ითვალისწინებს:

- ინვესტიციების დაფინანსების საიმედო წყაროებისა და მეთოდების შერჩევას;
- საინვესტიციო პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრას;
- საინვესტიციო ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნას;

- ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

დასახელებული მექანიზმების ამუშავებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სწორი საგადასახადო სისტემა; უნდა მოაწესრიგოს ამორტიზაციის დარიცხვისა და საამორტიზაციო ანარიცხების მექანიზმი; დაიცვას ინვესტორების ინტერესები; მიიღოს ანტიმონოპოლიურ ზომები; ხელი შეუწყოს ფინანსური ლიზინგის განვითარებას; შექმნას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი პირობები.

საქართველოს მთავრობამ 2006 წელს მიიღო კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ". მოცემული კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.

იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, რომლებიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ზემოთხსენებული სააგენტო არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში.

სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში, ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. ზემოთხსენებული მომსახურება ფასიანია (გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია) და მომსახურების საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საინვესტიციო პოლიტიკა მუშავდება რეგიონულ, დარგობრივ და სამეურნეო სუბიექტების დონეზე. ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მათ რეალიზაციაზე უპირველეს გავლენას ახდენს სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს და შექმნას საინვესტიციო გარემო, რომელიც დაიცავს ინვესტორს.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკა არის საწარმოს ფინანსური სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მდგომარეობს საწარმოო პოტენციალის გაფართოებასა და განახლების უფრო რაციონალური გზების შერჩევასა და რეალიზაციაში.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

- ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური ეფექტების მიღწევა;
- უფრო მეტი მოგების მიღება ჩადებულ კაპიტალზე მინიმალური საინვესტიციო დანახარჯების პირობებში;
- სახსრების რაციონალური განკარგვა;

- საწარმოს მიერ სახელმწიფო მხარდაჭერის გამოყენება ინვესტიციების ეფექტიანობის გადიდებისათვის;
- სუბსიდიებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო უცხოური ინვესტორების შეღავათიანი კრედიტების მოზიდვა;
- კონკრეტული პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებული საინვესტიციო რისკების მინიმიზაციის უზრუნველყოფა;
- ინვესტიციების ლიკვიდურობის უზრუნველყოფა.

საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- ფინანსური მდგომარეობა;
- წარმოების ტექნიკური დონე;
- ლიზინგით დანადგარების მიღების შესაძლებლობა;
- საკუთარი სახსრების, აგრეთვე სასესხო საშუალებების მიღების შესაძლებლობების არსებობა;
- შეღავათები, რომელსაც ინვესტორი მიიღებს სახელმწიფოსგან;
- პროექტის კომერციული და საბიუჯეტო ეფექტიანობა;
- დაზღვევის და არაკომერციული რისკებიდან შესაბამისი გარანტიების მიღების პირობები.

საწარმოს საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციისათვის რესურსების მოთხოვნილება განისაზღვრება მისი სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალით, რომელიც აუცილებელია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად პროდუქციის გამოსაშვებად.

საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას რეკომენდებულია განისაზღვროს ინვესტიციების საერთო მოცულობა, საკუთარი სახსრების გამოყენების გზები და დამატებითი ფულადი რესურსების მოზიდვის შესაძლებლობები.

საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობა ფასდება შემოსავლების და ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებლებით. აღნიშნული მაჩვენებლები განისაზღვრება ბიზნეს-გეგმისა და პროექტის დასაბუთების წინასწარი გაანგარიშების საფუძველზე საწარმოს საინვესტიციო სტრატეგიის ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.ლომსაძე-კუჭავა. სახელმძღვანელო "საბაზრო ეკონომიკა". თბილისი, 2006 წ.
2. გ.ამყოლაძე, მ.ლოსაძე-კუჭავა, „ორგანიზაციის თეორია და მენეჯმენტის საფუძვლები, უნივერსიტეტი „გეომედი", თბილისი 2011 წელი.
3. რ. მახვილაძე, კ. მახვილაძე, ჯ. ჩოგოვაძე და სხვ. ინვესტიციების თეორია და ანალიზი. რედ.: გ. ლაღუნდარიძე, დ. პაპავა. სტუ, თბილისი, 2005, სტუ-ს სტამბა.
4. Glassman, James, and Kevin A. Hasset. Dow 36,000: The New Strategy for Profiting From the Coming Rise in the Stock Market. Three Rivers Press, November 2000.

5. Picerno, James. "Rising Inflation? Protect Your Investments!" The Scientist. January 2006.
6. Mun, Jonathan. Applied Risk Analysis: Moving Beyond Uncertainty in Business. John Wiley & Sons, 2004.
7. Ендовицкий Д.А. Комплексный анализ и контроль инвестиционной деятельности: методология и практика /Под ред. проф. JI.T. Гиляровской. Москва: Финансы и статистика, 2001. - 400 е.;
8. Методические рекомендации для расчета коммерческой эффективности инвестиционные проектов в электроэнергетике. Препринт ГУП НИКИЭТ. М. 2000. - 38 е.;

მაია ლომსაძე-კუჭავა
მენეჯმენტის დოქტორი, პროფესორი

„ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა და საინვესტიციო გარემო საქართველოში“

**რეზიუმე**

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, პოლიტიკა, განსაზღვრა, ეკონომიკური, ინვესტიცირების პროცესი.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საინვესტიციო გარემო და საინვესტიციო პოლიტიკა.

მარტივად არის ახსნილი ინვესტიციის განსაზღვრება, რომ არსებობს ინვესტიციის ორგვარი განსაზღვრა: პირველი, ეკონომიკური ანუ არსობრივი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია არის სამომავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტი გაზრდილი მოცულობით და მეორე - ტექნიკური, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია დანახარჯების ჯამია. ორივე ეს ასპექტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ურთიერთს განსაზღვრავს.

სტატიაში წარმოდგენილია საინვესტიციო პოლიტიკის სწორედ წარმართვის ასპექტები და მოცემულია საინვესტიციო პროცესის სქემატური სახე და რეკომენდაციები.

Майя Ломсадзе-Кучава
Докторменеджмента

"Инвестиции, инвестиционная политика и инвестиционный климат в Грузии"

Резюме

Ключевые слова: инвестиция, политика, определение, экономический, процес инвестирования.

В статье анализируется инвестиционной среда и инвестиционная политика в Грузии.

Определение доходности инвестиций легко объясняется, что есть два вида определения инвестиций: первое - экономическое или по существу, согласно которому инвестиция это акт удовлетворения будущих потребностей в увеличенном объёме, и второе – техническое, по которому инвестиция это сумма затрат. Оба эти аспекта тесно связаны между собой и определяют друг друга.

В статье представлены аспекты правильного ведения инвестиционной политики и даны соответствующие рекомендации.

Maya Lomsadze-Kuchava
Doctor of Management

Investments, investment policy and investment climate in Georgia.

Resume

Main objectives of the thesis: investment, politics, determination, economics, process of investment.

The article analyzes the investment environment and investment policy in Georgia.

Determination of profitability of investments easily explained that there are two types of definition of investments. The first is economic or in essence, according to which the investment is the act of satisfaction of future needs for the increased volume.The second – technical on which the investment is the sum of expenses.Both of these aspects are closely interrelated and determine each other.

The paper presents aspects of proper management of the investment policy and given appropriate recommendations.

ნანა გვენეტაძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

უნივერსიტეტი გეომედი

**მედიასაშუალებებისროლი საკომუნიკაციო ინგლისურიენისშესწავლაში.**

უცხოენისშესწავლამრავალმხრივიპროცესიადადიდძალისხმევასმოითხოვსროგორ ცენისშემსწავლელის, ისემასწავლებლისმხრიდან. ენისათვისებისასუამრავიელემენტიაგასათვალისწინებელი, სასურველიშედეგისმიღებასკისასწავლოპროცესშიყველაელემენტისჩართვაგანაპი რობებს.

დღესინგლისურიენისგაკვეთილისმიზანსშესასწავლენაზეკომუნიკაციადაშესასწავ ლიქვეყნისკულტურისსწორადაღქმა/დაფასებაწარმოადგენს. უცხოენებისსწავლებისძირითადმიზანსკომუნიკაციურიკომპეტენციის, ანუკომუნიკაციურიუნარ-ჩვევებისჩამოყალიბებაწარმოადგენს. იმისათვის, რომმოსწავლემშესასწავლენაზეკომუნიკაციისდამყარებაშეძლოს, აუცილებელია, მასგამოუმუშავდესშესაბამისიუნარ-ჩვევები. ასერომ, ინგლისურიენისშესწავლაყოველთვისარნიშნავსიჯდესაკლასოოთახსათუაუდიტო რიაშიდასწავლობდერთულგრამატიკულწესებს, ლექსიკასადაფრაზეოლოგიებს. სინამდვილეში, ბევრითანამედროვეინგლისურიენისსპეციალისტიგვარწმუნებსრომ,არსებობსმთე ლირიგიგზები, რათაგავიუმჯობესოთინგლისურიენისგაგება, დაამასთანავესწავლისპროცესიიყოსგასართობიდასასიამოვნო.

ცნობილიფაქტიარომ,ადამიანთა სხვადასხვაჯგუფებისხვადასხვაგვარადრეაგირებენამთუიმსწავლისმეთოდებზე. ზოგისთვისაუდიტორულისწავლებაუფროპროდუქტიულიავიდრევუზუალურისა შუალებებით ( ფილმებისნახვა, ჟურნალ-გაზეთებისკითხვა, დაა.შ), ზოგისთვისკიპირიქით.

ენისშემსწავლელთაუმეტესობაცდილობსმოიძიოსენისშესწავლისმარტივიდასწაფი გზები, დაერთ-ერთიესგზამედიასაშუალებებია.

მისიდახმარებითსტუდენტსშესაძლებლობაეძლევაეზიაროსუცხოკულტურასზედმ ეტიძალისხმევისგარეშე. თანამედროვემედიასაშუალებებიიძლევაშესაძლებლობასმათიინგლისურიენისშეს წავლისსაქმეშიგამოყენებისა. რაცკარგისიახლეაროგორცპედაგოგებისათვისასევესტუდენტებისათვის. თუმცაარუნდადაგვავიწყდესმეორეფაქტორიც, მედია-საშუალებებისარაკორექტულმაგამოყენებამშეიძლებაარასასურველშედეგამდემიგვ იყვანოს. სწორედესსაკითხიმინდაგანვიხილოწინამდებარესტატიაში.

კითხვა, შეიძლებათუარაენისშესწავლატელევიზორისსაშუალებით, დიდიხანიაგანხილვისსაგანიგახდა. პედაგოგებისერთინაწილიმიიჩნევსრომტელევიზიაუარყოფითგავლენასახდენსსტ უდენტისმიერენისსწორადათვისებისპროცესზე, მეორენაწილიკი, (დამათშორისმეც) ფიქრობსრომისეხმარებასტუდენტსსალაპარაკოინგლისურისათვისებაში. თუმცააქვეუნდაავღნიშნორომ, პროგრამისშერჩევასდიდიმნიშვნელობააქვს, დაამპროცესშიაუცილებლადჩართულიუნდაიყოსპედაგოგი, წინააღმდეგშემთხვევაშიჩვენარასასურველშედეგსმივიღებთ.

ისევეროგორცსწავლებისყველამეთოდსმედია-საშუალებებსაცაქვსთავისიდადებითიდაუარყოფითიმხარეები, როცამასსწავლებისნაწილადგანვიხილავთ. მასალისსწორადშერჩევადასტუდენტისათვისმისიმიწოდებაპედაგოგისკომპეტენც იაადაარამცდაარამცმისიუგულვებელყოფაანდასტუდენტისათვისმინდობაარშეიძ ლება.

პირველრიგშიმინდაგანვიხილოსატელევიზიოპროგრამებისგამოყენებისსაკითხიენ ისშესწავლისსაქმეში. როგორშევარჩიოთსათანადოპროგრამა? რაარისმისაღებიდარომელიგადაცემაუკეთესიაენისშესწავლისმხრივ? ასევეგასათვალისწინებელიასტუდენტისასაკობრივიჯგუფიც.

სატელევიზიოგადაცემებიარამარტოენობრივიუნარებისგაუმჯობესებაში, ასევეკულტურულითავისებურებებისაღქმაშიცეხმარებასტუდენტს. უცხოურიენისსწავლანიშნავსუცხოსამყაროშიშესვლას, ცხოვრებისგანსხვავებულიწესების, ტრადიციებისაღმოჩენას, განსხვავებულიღირებულებების, მენტალობებისგაგებას. ამდენად, წარმატებულიკომუნიკაციადამოკიდებულიაარამხოლოდსამეტყველოუნარ-ჩვევებზე, არამედგანსხვავებულიკულტურულიკონტექსტებისგაგებისადაპატივისცემისუნარზეც. სწორედამუნარებისადადამოკიდებულებებისჩამოყალიბებასემსახურებამედია-საშუალებები. უცხოურიგადაცემებისსაშუალებითსტუდენტსეძლევაშანსიდააკვირდესდაშეისწავლოსამათუიმქვეყნისტრადიციები, კულტურულიჩვევებიდაადათ-წესები. მაგალითადამერიკულისატელევიზიოშოუებიცნობილიაამერიკულიწეს-ჩვეულებებისადაკულტურულიშტრიხებისგაშუქებით.

რაცშეეხებაგადაცემათაშერჩევას, მინდაჩემიმოკრძალებულიაზრიგამოვთქვამათიშერჩევისპრინციპზე. რათქმაუნდაუმჯობესიასტუდენტმაუყუროსისეთიტიპისგადაცემებს,რომელიცინფორმატიულიადაამავედროსენისკორექტულადგამოყენებახდება. ამერიკულისაინფორმაციოგადაცემებიამისკარგიმაგალითია, დიქტორებიდახვეწილიინგლისურითსაუბრობენ, გადაცემაარარისგადატვირთულიპოლიტიკურინიუზებით, ხდებასხვადასხვათემებისგაშუქებადასაინტერესოჩართვებიენისშესწავლისათვისიდეალურგარემოსქმნის. ასევეკარგიაფილმებისუბტიტრებითინგლისურენაზე, მართალიაასეთიფილმებისსიადიდიარარისმაგრამშეიძლებაპედაგოგმამოახერხოსსაინტერესოფილმისშერჩევა. მეასევევურჩევჩემსსტუდენტებსსხვადასხვაჟანრისსერიალებს. თუმცა,აქვემინდაავღნიშნორომ,სერიალისშერჩევასდიდიყურადღებადადაკვირვებაჭირდება,

რადგანაცბევრიმათგანიხშირადიყენებსსლენგსდაარასწორინგლისურსრამაცშეიძლ ებაუფროდააზიანოსსტუდენტისცოდნავიდრეგაამყაროს.

ბეჭდურიმედიაასევეფართოდგამოიყენებაენისშესწავლისსაქმეში. ხშირადისმისკითხვა, რატომგვჭირდებაგაზეთებისადაჟურნალებისგამოყენებაროცაუამრავისასწავლომა სალაგვაქვსენისშემსწავლელთათვის?პასუხიმარტივია, ჟურნალებიუფროსაინტერესოავიდრელექსიკონთანანსახელმძღვანელოსთანმუშაო ბა.

დღესდღეობითინტერნეტისაშუალებასგვაძლევსგავეცნოთუცხოურპრესასმსოფლი ოსნებისმიერიწერტილიდან, ინფორმაციაკიძალზედსაინტერესოა, სელებრიტებითდამათიცხოვრებითდაწყებული, პოლიტიკურიამბებითდამთავრებული, ყველაფერიერთსივრცეშიამოცემულიდაკიდევერთი, მეცნიერულმაკვლევებმადაადასტურესრომილუსტრაციებიარამარტობავშვებსარამ ედუფროსიასაკისსტუდენტებსაცეხმარებაენისუკეთათვისებაში. ასე რომ, ჟურნალ-გაზეთებისაუკეთესოგზააცოდნისგასაღმავებლად, სტატიებისუმეტესობაგამოირჩევადახვეწილიინგლისურით, გრამატიკულიდალექსიკურიფორმებისსწორიგამოყენებით, რაცმეტადმნიშვნელოვანიაროგორცლექსიკურიასევეთანამედროვეპოლიტიკური, კულტურული, ბიზნესდასპორტულიტერმინოლოგიისათვისებისთვის.

როგორუნდაშევარჩიოთსტატია? რამდენადშეესაბამებასტუდენტისცოდნისდონემას? მცდარიაშეხედულებარომთითქოსპრესისგასაცნობადინგლისურიენისმაღალდონე ზეცოდნაასაჭირო. ყველაგაზეთითუჟურნალიერთიდონისმკითხველზეარარისგათვლილი. ამიტომუკეთესიიქნებადავიწყოთისეთისტატიებითრომელიცჩვენთვისგასაგებენაზ ეადაწერილი, გამოვიყენოთლექსიკონისაჭიროებისამებრ, ასევეძალიანეფექტიანიაგანხილვისთემასთანშესაბამისისაგაზეთოსტატიისწაკითხ ვა. ( მაგ:

თუკისასწავლოგეეგმითგავდივართეკონომიკურტერმინოლოგიებსკარგიიქნებასტ უდენტისათვისამმიმართულებითმივცეთსტატიაწასაკითხად, რაცდაეხმარებამასგაამყაროსგაკვეთილზეშესწავლილიმასალა)

ამგვარად, მედია-საშუალებებიშესაძლებელიაფართოდიქნასგამოყენებულიინგლისურიენისშესწავლისპროცესში. რათქმაუნდაისვერჩაანაცვლებსგაკვეთილსდაიმმეთოდებს, რომელიცსაზოგადოდგამოიყენებაენისშესწავლისას, მაგრამამხერხითშეგვიძლიაგავამყაროთმიღებულიცოდნა.

**გამოყენებულილიტერატურა**


1. Bates, J. (2003). T -Learning Study. A study into TV-based interactive learningto the home.
2. Salaberry, M. R. (2001). The use of technology for second language learning and teaching: A retrospective. In The Modern Language Journal,85

Learning Languages from Interactive Television: Language Learners reflect on Techniques and Technologies-Sanaz Fallahkhair, Judith Masthoff, Lyn Pemberton University of Brighton, Brighton, UK


**მედიასაშუალებებისროლი საკომუნიკაციო ინგლისურიენისშესწავლაში.**

**რეზიუმე**


საკვანძო სიტყვები: ინგლისური ენა, ტექნოლოგიები, მედია, სწავლის პროცესი, ტერმინოლოგია, გრამატიკული წესი.

სტატიაშიგანხილულიამედია-საშუალებებისმიზანმიმართულადგამოყენებაინგლისურიენისშესწავლისსაქმეში. თანამედროვეტექნოლოგიებიგვაძლევსიმისსაშუალებასრომუკეთწარვმართოთენისშესწავლისპროცესიდასტუდენტებსშევასწავლოთარამარტოლექსიკურიტერმინოლოგიებიდაგრამატიკულიწესები, არამედვაზიაროთამენისკულტურულთავისებურებებს.

Роль медия средств в изучении коммуникационного английского языка

Резюме

Ключевые слова: английский язык , технологии, медия, процес учёбы, терминология, граматические правила.

В статье рассматривается использование средств массовой информации в процессе обучения английского языка. Современные технологии дают нам возможность построить лучший учебный процесс и научить студентам не только словарный запас и грамматику, но и культурные особенности языка.

**Resume**

Main objectives of the thesis: English language, technology, media, process of the teaching, terminology, grammar rules.

The article discusses the use of media in English language learning. Modern technologies give us the opportunity to build a better learning process and teach students not only the vocabulary and grammar, but also cultural features of the language.

**გ. ამყოლაძე, ჯ. დუგლაძე, მ. ლომსაძე-კუჭავა**

# ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ვარიანტების შეფასების მეთოდოლოგია

## შესავალი

ახალმა ტექნოლოგიურმა გამოწვევებმა, განვითარებული ქვეყანების უმრავლესობა აიძულა თავისი ელექტროენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის საფუძვლად აერჩია ინტელექტუალური ენერგეტიკის კონცეფცია (Smart Grid), რაც არის დარგის ინოვაციური განვითარების ფუნდამენტი.

ჭკვიანი ქსელების (Smart Grid) დამუშავებისა და რეალიზაციის ერთერთ ყველაზე უფრო რთულ საკითხს წარმოადგენს ენერგოსისტემის ტექნოლოგიური ბაზისის არჩევა. ტექნოლოგიური ბაზისის ტერმინში იგულისხმება ტექნოლოგიათა ერთობლიობა, რომლებიც დარგის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უზრუნველყოფენ შუალედური და საბოლოო პროდუქტებისა და მომსახურების თავსებადი სტრუქტურების შენარჩუნებას.

მოცემულ არჩევანს განაპირობებს ფაქტორების ფართო სპექტრი, რომელთა აღრიცხვის ფორმალიზება მომავლის ენერგოსისტემის დამუშავებისას ძალიან რთულია. ამიტომ საერთაშორისო პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად მიმართავენ მოთხოვნებს, რომლებსაც წაუყენებენ მომავალ ინტელექტუალურ ენერგოსისტემას მონაწილეები და მხარეები, ვის ინტერესებსაც ეხება ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების პროცესი. ამ მონაწილეებსა და მხარეებს „სტეიკჰოლდერებს“ (Stakeholder – დაინტერესებული მხარე) უწოდებენ. ასევე შემაფერხებელია ქვეყნის ენერგოსისტემის სპეციფიურობა და ფართო სპექტრის ეფექტებისა და დანახარჯების გათვალისწინების სირთულეები.

ყოველივე ზემოთხსენებული განაპირობებს საქართველოში ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ვარიანტების შეფასების ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის დამუშავების აქტუალურობას. იგი ორიენტირებული უნდა იყოს უფრო შედეგიანი ვარიანტის შერჩევაზე სტეიკჰოლდერების მოთხოვნების საფუძველზე, ასევე ითვალისწინებდეს დარგის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულ პარამეტრებს.

ინოვაციური პროცესების კვლევები ეფუძნება ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თეორიას, რომელიც პირველად წარმოადგინა ი.შუმპეტერმა [1].

დარგობრივი ინოვაციური გარდაქმნების (რომელსაც მიეკუთვნება ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარება) ეკონომიური ეფექტიანობის ანალიზისადმი არსებული მიდგომები ეფუძნება „ხარჯი - სარგებელი“-ს

ანალიზს (ინგ.-cost-benefit) [2], რომელსაც რიგი შეზღუდვების გამო ცდილობენ შეავსონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის თეორიის მიდგომებით [3].

ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ვარიანტების შეფასება - კვლევის ახალი მიმართულებაა. შეფასების საფუძვლად განიხილება განსაზღვრული ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯები და სარგებლები [4]. ეს შეზღუდვა წარმოშობს ამ მეთოდოლოგიის დახვეწის აუცილებლობას.

ამ მიმართებით გაანალიზებულ იქნა ინოვაციურ გარდაქმნათა ეკონომიური შეფასების არსებული თეორიული და მეთოდური საფუძვლები სტეიკჰოლდერების მოთხოვნათა ინტეგრაციის გათვალისწინებისათვის და შემუშავებულ იქნა შეფასების ამ მეთოდოლოგიისათვის მოთხოვნები:

1. შეფასება უნდა მოიცავდეს ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ეფექტების მთლიან სპექტრს, მათ შორის გარე (ექსტერიალებს) ფაქტორებსაც;
2. მეთოდოლოგია საშუალებას უნდა იძლეოდეს ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ვარიანტების შერჩევას, რომლებიც შეესაბამება დაინტერესებული მხარეების (სტეიკჰოლდერების) ინტეგრირებულ ფუნქციონალურ მოთხოვნებს;
3. დაინტერესებული მხარეების (სტეიკჰოლდერების) მოთხოვნათა ინტეგრაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მოცემული კონცეფციის რეალიზაციაში მათი ჩართულობის ხარისხი;
4. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს სირთულეებს, რაც დაკავშირებული იქნება დარგის ინოვაციურ გარდაქმნებთან;
5. მეთოდოლოგია მიმართულ უნდა იქნას ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების სხვადასხვა ვარიანტების ეფექტებისა და ხარჯების შედარებისაკენ, ამასთან უნდა ითვალისწინებდეს ამ სახის ანალიზის შეზღუდვებს.

ამ მოთხოვნათა შესაბამისად დამუშავებულ იქნა ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ვარიანტების ეკონომიური შეფასებისმეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ეფუძნება დაინტერესებული

მხარეების (სტეიკჰოლდერების) ფუნქციონალური მოთხოვნების მზადყოფნის (სიმწიფის) მოდელს და ითვალისწინებს ეფექტების სრულ სპექტრს და ტექნოლოგიების სინერგიას (შეთავსებადობას).

მეთოდოლოგიის არსი ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

**მეთოდოლოგიის შემცველობა**




*ნახ.1.* მეთოდოლოგიის არსი

*1) ინტელექტუალური ენერგეტიკის კონცეფციის ტექნოლოგიური ბაზისის დანერგვის შედეგად მიღებული ეფექტების გამოვლენა და სისტემატიზაცია*

ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების კვალობაზე წარმოქმნილი ეფექტების არსებული კლასიფიკაცია ეფუძნება ორი ძირითად პრინციპს:

ა) ეფექტების დაყოფა პირდაპირ და ირიბ ეფექტებთან ინტელექტუალური ენერგოსისტემის რეალიზაციასთან მიმართებაში [5];

ბ) ეფექტების კლასიფიკაცია წარმომავლობის წყაროების და ბენეფიციარების მიხედვით [6, 7].

კლასიფიკაციის ეს პრინციპები ხასიათდება შემდეგი ნაკლოვანებებით, რომლთა გამოც ვერ ხერხდება კორექტული ეკონომიური შეფასება:

- შეზღუდულობა: კლასიფიკაცია ვერ მოიცავს რიგ ეფექტებს, მათ შორის ექსტერნალურებს (გარე ეფექტებს);
- გადაკვეთები ფორმულირებულ ეფექტებში და მათ კატეგორიებში;
- გამოკვეთილი კავშირების არარსებობა ინტელექტუალური ენერგოსისტემის ტექნოლოგიურ კომპონენტებსა და ეფექტებს შორის.

ამ მიმართებით ჩემს მიერ გამოვლენილ და დადგენილ იქნა ეფექტები, რომლებიც წარმოიშვებიან ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების დროს. ეს შესაძლებელი გახდა ცალკეული ტექნოლოგიური კომპონენტის მოწყობილობასა და შესაბამის ტექნოლოგიურ ეფექტს შორის ურთიერთკავშირის საფუძველზე. ეკონომიური ეფექტის შეფასება ხდება ტექნოლოგიურის ბაზაზე (ცხრილი 1).

*ცხრილი 1.* ფუნქციონალური ცვლილებებისა და ეფექტების ურთიერთკავშირი

| ეფექტები: | ფუნქციონალური ცვლილებები **მომხმარებელთა** ტექნოლოგიურ ქვესისტემებში | ფუნქციონალური ცვლილებები **ქსელების** ტექნოლოგიურ ქვესისტემებში | ფუნქციონალური ცვლილებები **გენერაციის** ტექნოლოგიურ ქვესისტემებში |
|---|---|---|---|
| **მომხმარებელთა ტექნოლოგიური ქვესისტემა** | | | |
| ტექნოლოგიური ეფექ-ტები ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე | განისაზღვრება ფუნქციონალური ცვლილებებით მსგავსების პრინციპით | | |
| ეკონომიური ეფექტები ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე | გამოიანგარიშება ფორმულებით ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე ტექნოლოგიური ეფექტების ბაზაზე | | |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიური ეფექ-ტები ენერგოსისტემის დონეზე | განისაზღვრება ფუნქციონალური ცვლილებებით მსგავსების პრინციპით |
| ეკონომიური ეფექტები ენერგოსისტემის დონეზე | გამოიანგარიშება ფორმულებით ენერგოსისტემის დონეზე ტექნოლოგიური ეფექტების ბაზაზე |
| **ქსელების ტექნოლოგიური ქვესისტემა** | |
| ტექნოლოგიური ეფექ-ტები ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე | განისაზღვრება ფუნქციონალური ცვლილებებით მსგავსების პრინციპით |
| ეკონომიური ეფექტები ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე | გამოიანგარიშება ფორმულებით ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე ტექნოლოგიური ეფექტების ბაზაზე |
| ტექნოლოგიური ეფექ-ტები ენერგოსისტემის დონეზე | განისაზღვრება ფუნქციონალური ცვლილებებით მსგავსების პრინციპით |
| ეკონომიური ეფექტები ენერგოსისტემის დონეზე | გამოიანგარიშება ფორმულებით ენერგოსისტემის დონეზე ტექნოლოგიური ეფექტების ბაზაზე |
| **გენერაციის ტექნოლოგიური ქვესისტემა** | |
| ტექნოლოგიური ეფექ-ტები ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე | განისაზღვრება ფუნქციონალური ცვლილებებით მსგავსების პრინციპით |
| ეკონომიური ეფექტები ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე | გამოიანგარიშება ფორმულებით ტექნოლოგიური ქვესისტემის დონეზე ტექნოლოგიური ეფექტების ბაზაზე |

წარმოდგენილი სისტემა „ეფექტები/სარგებელი“ ხსნის ნაკლოვანებებს, რაც აქვთ არსებულ კლასიფიკაციებს:

- არ ხდება ორმაგი აღრიცხვა; ეფექტების ცალსახა ფინანსური შეფასების საშუალებას იძლევა.
- საშუალებას იძლევა სტეიკჰოლდერების მიერ მოთხოვნილი ფუნქციონალური ცვლილებები გადაყვანილ იქნას ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

*2) ინტელექტუალური ენერგოსისტემის ფორმირების პრინციპები და სიმწიფის მოდელის სტრუქტურა*

ბოლო პერიოდში ინტელექტუალური ენერგეტიკის სფეროში მოღვაწე კომპანიების პროგრესის შესაფასებლად დაიწყეს ე.წ. სიმწიფის მოდელების (maturity models)გამოყენება [8], რომლებიც ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების კვალობაზე ეტაპების მიხედვით წარმოშობილი ფუნქციონალური ცვლილებების ცალსახა ასახვის საშუალებას იძლევა. სწორედ ამ ინსტრუმენტის მეშვეობითაა შესაძლებელი სტეიკჰოლდერების განზოგადოებული ფუნქციონალური მოთხოვნების ერთმნიშვნელოვანი გადაყვანა შესაბამისი ეფექტების ეკონომიურ შეფასებაზე.

საქართველოში ინტელექტუალური ენერგოსისტემის ოპტიმალური განვითარებისათვის აუცილებელია დასანერგი ინოვაციების ვარიანტების ოპტიმალური შერჩევა, რისთვისაც სათანადო შეფასების საფუძვლად სიმწიფის მოდელები გამოდგება. ამ მიმართებით დავამუშავე საქართველოს ენერგოსისტემის სიმწიფის მოდელი რომელიც შემდეგ პრინციპებზეა აგებული:

1. მოდელში სიმწიფის დონეების შესაფასებლად აღებულია ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ეტაპები ზემოთხსენებული ინტელექტუალური ენერგოსისტემის კონცეფცია (შემდგომში - კონცეფცია);
2. საზედამხედველო პარამეტრებად აღებულია ინტელექტუალური ენერგოსისტემის ტექნოლოგიური ქვესისტემები (კონცეფციის შესაბამისად);
3. სიმწიფის მოდელის შინაარსობრივ ნაწილს შეადგენს ტექნოლოგიური ქვესისტემების მიხედვით ენერგოსისტემის ფუნქციონალობების ცვლილება. ტექნოლოგიური ქვესისტემები განვითარების ოთხ ეტაპს გადიან (სიმწიფის დონეების მიხედვით): პირველ ეტაპზე მინიმალური ხარისხისაა, მეოთხე ეტაპზე კი მაქსიმალურ ხარისხს აღწევს. სიმწიფის თითოეული დონე ქულებით ფასდება, რაც ასახავს ცვლილების ძალას ნულოვან დონესთან შედარებით.

*3) ინტელექტუალური ენერგოსისტემაში ჩართულ მონაწილეთა ფუნქციონალურ მოთხოვნათა ინტეგრაცია*

ბევრი მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტეიკჰოლდერებს შორის განსხვავებების აღრიცხვას მათთან ურთიერთობების დალაგებისათვის და მათი ინტერესების გაწონასწორებისათვის. მაგრამ ჯერჯერობით ამათუიმ დაინტერესებული მხარის პრიორიტეტის დადგენის ზუსტი მიდგომები არ არსებობს.

ამ მიმართებით სიმწიფის მოდელის საფუძველზე დამუშავდა სტეიკჰოლდერების ინტერესთა ინტეგრაციის მეთოდიკა, რომელშიც გამოსაყოფია ორი პარალელური პროცესი:

1) ინტელექტუალური ენერგოსისტემის სიმწიფის მოდელის დამუშავება, მისი მიხედვით ჩართული მხარეების წარმომადგენლების მიერ ელექტროენერგეტიკული სისტემის მიმდინარე და სასურველი მომავალი მდგომარეობის შეფასება;
2) სტეიკჰოლდერების რანჟირება ინტელექტუალური ენერგოსისტემის რეალიზაციაში ჩართულობის დონის მიხედვით, მისი გათვალისწინება სიმწიფის მოდელში გამოკითხვის რეზულტატების ანალიზის დროს.

ეს პროცესები წინ უნდა უსწრებდეს სტეიკჰოლდერების იდენტიფიკაციას.

ამ მეთოდიკის შინაარსი მოცემულია მე-2 ნახაზზე მოყვანილ ბლოკ-სქემაში.

სტეიკჰოლდერების ფუნქციონალური მოთხოვნების ინტეგრაციისა და შეთანხმებისათვის ჯ. ფრუმენის [9] კონცეფციის ბაზაზე მიზანშეწონილად ჩავთვალე სტეიკჰოლდერების რანჟირება ორი ინდიკატორის მიხედვით:

- სტეიკჰოლდერის გავლენის ძალა ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარებაზე;
- სტეიკჰოლდერის დამოკიდებულების დონე ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების რეზულტატებზე.




*ნახ. 2*. ჩართული მხარეების ფუნქციონალური მოთხოვნების ინტეგრაციის ბლოკ-სქემა

ამ ინდიკატორების საფუძველზე მათი ინტეგრაციის გზით განისაზღვრება სტეიკჰოლდერის “ჩართულობის“ ინდექსი. “ჩართულობის“ დონისა და განსახილველი ტექნოლოგიური ქვესისტემისადმი მიკუთვნების საფუძველზე განისაზღვრება წონითი კოეფიციენტები სტეიკჰოლდერების თითოეული ჯგუფის პასუხებზე, რაც შემდგომში სიმწიფის მატრიცის სხვადასხვა ტექნოლოგიური ქვესისტემების ფუნქციონალურობის ანალიზის საფუძველია.

წონითი კოეფიციენტები გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$\mu_{nx} = \frac{(1 - \mu_{xx} - \mu_{gx}) \times I_n}{\sum_{n=1}^{i} I_n - I_g - I_x} \tag{1}$$

$$\mu_{xx} = \mu_{gx} = \frac{I_g}{\sum_{n=1}^{8} I_n} \tag{2}$$

სადაც $\mu_{nx}$არის x ტექნოლოგიური ქვესისტემის მიმართ დაინტერესებულ მხარეთა n ჯგუფის წარმომადგენელთა პასუხების წონითი კოეფიციენტი;

$\mu_{xx}$– მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის წარმომადგენელთა პასუხების წონითი კოეფიციენტი;

$\mu_{gx}$– ქსელური კომპანიების წარმომადგენელთა პასუხების წონითი კოეფიციენტი;

$I_n$–n ჯგუფის სტეიკჰოლდერის ჩართულობის ინდექსი, რომელიც პროპორციულია წარმოებული/მოხმარებუ-ლი ეფექტების/სარგებლების მიღწევის ალბათობისა ენერგოსისტემაზე მათი გავლენის შეფასებისა;

$I_x$–მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის სტეიკჰოლდერის ჩართულობის ინდექსი, რომელიც პროპორციულია წარმოებული/მოხმარებული ეფექტე-ბის/სარგებლების მიღწევის ალბათობისა ენერგო-სისტემაზე მათი გავლენის შეფასებისა;

$I_g$–ქსელური კომპანიების ჩართულობის ინდექსი, რომელიც პროპორციულია წარმოებული/მოხმარებული ეფექტე-ბის/სარგებლების მიღწევის ალბათობისა ენერგო-სისტემაზე მათი გავლენის შეფასებისა.

შეფასებების განზოგადოება ხდება შემდეგი ფორმულების მიხედვით:

ა) მიმდინარე მდგომარეობისათვის:

$$C_x = \sum(\sum_{n=1}^{i}(\mu_{nx} \times \overline{X_{C_{nx}}}) + \mu_{xx} \times \overline{X_{C_{xx}}} + \mu_{gx} \times \overline{X_{C_{gx}}}), \quad (3)$$

სადაც $C_x$ არის x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მიმდინარე დონის განზოგადოებული შეფასება სტეიკჰოლდერების წარმომადგენლების მიერ;

$\overline{X_{C_{nx}}}$ – მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მიმდინარე დონის შეფასებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა დაინტერესებულ მხარეთა n ჯგუფის წარმომადგენლების მიერ;

$\overline{X_{C_{xx}}}$– მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მიმდინარე დონის შეფასებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის წარმომადგენლების მიერ;

$\overline{X_{C_{gx}}}$ – მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მიმდინარე დონის შეფასებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა ქსელური კომპანიების წარმომადგენლების მიერ.

ბ) მომავალი მდგომარეობისათვის:

$$F_x = \sum(\sum_{n=1}^{i}(\mu_{nx} \times \overline{X_{F_{nx}}}) + \mu_{xx} \times \overline{X_{F_{xx}}} + \mu_{gx} \times \overline{X_{F_{gx}}}), \qquad (4)$$

სადაც $F_x$ არის x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მომავალი სასურველი დონის განზოგადოებული შეფასება სტეიკჰოლდერების წარმომადგენლების მიერ;

$\overline{X_{F_{nx}}}$ – მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მომავალი სასურველი დონის შეფასებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა დაინტერესებულ მხარეთა n ჯგუფის წარმომადგენლების მიერ;

$\overline{X_{F_{xx}}}$– მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მომავალი სასურველი დონის შეფასებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის წარმომადგენლების მიერ;

$\overline{X_{F_{gx}}}$ – მოცემული x ტექნოლოგიური ქვესისტემის სიმწიფის მომავალი სასურველი დონის შეფასებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა ქსელური კომპანიების წარმომადგენლების მიერ.

ამრიგად, ჯამური შეფასებები იცვლებიან 1-დან 4-მდე დიაპაზონში სამი ტექნოლოგიური ქვესისტემისათვის.

სტეიკჰოლდერების გავლენის ძალა და ურთიერთდამოკიდებულებები შეიძლება შეფასდეს შემდეგი ფორმულებით:

$$P = \sum_{e=1}^{k} (p_e \times E_e) \times q$$

$$D = \sum_{c=1}^{m} (p_c \times E_c) \times q$$

სადაც P – სტეიკჰოლდერის გავლენის ძალაა ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარებაზე;

$p_e$– სტეიკჰოლდერის მიერ წარმოებული e ეფექტის მიღწევის ალბათობის შეფასებაა;

$E_e$– ენერგოსისტემაზე სტეიკჰოლდერის მიერ წარმოებული e ეფექტის შესაძლო გავლენის შეფასებაა;

D – სტეიკჰოლდერის დამოკიდებულების ძალაა ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარებაზე;

$P_c$– სტეიკჰოლდერის მიერ მოხმარებული c ეფექტის მიღწევის ალბათობის შეფასებაა;

$E_c$– ენერგოსისტემაზე სტეიკჰოლდერის მიერ მოხმარებული c ეფექტის შესაძლო გავლენის შეფასებაა;

q– კოეფიციენტია, რომელიც 1-ის, თუ სტეიკჰოლდერის მიერ ეფექტი სრულად წარმოებულია/მოხმარებულია, ან 0,5-ის ტოლია, თუ

ეფექტი სტეიკჰოლდერის მიერ ნაწილობრივ წარმოებულია/მოხმარებულია.

*4) ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის მეთოდოლოგიური მიდგომა*

ინტელექტუალური ენერგოსისტემის ვარიანტების შეფასების არსებულ მიდგომებს გააჩნიათ რიგი არსებითი შეზღუდვები:

- ტექნოლოგიების წინასწარ განსაზღვრული ნაკრების მოთხოვნა;
- არასრული ნაკრების ეფექტების რაოდენობრივი შეფასება;
- სტეიკჰოლდერების ჩართულობის გაუთვალისწინებლობა.

განვითარების ვარიანტების ეკონომიური შეფასების წინამდებარე მეთოდოლოგიური მიდგომა მოიცავს 3 ძირითად ეტაპს, რომლებიც ნახ. 3-ზე მოყვანილ ბლოკ-სქემაზეა ასახული.




*ნახ. 3.* განვითარებისვარიანტებისეკონომიურიშეფასებისმეთოდოლოგიურ იმიდგომა

ამ მეთოდოლოგიურ მიდგომას გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

1. იგი დაფუძნებულია ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიური მოთხოვნების რეალიზაციაზე და მასში ინტეგრირებულია ინოვაციების შეფასების ინსტრუმენტები. ამის მეშვეობით უფრო მოქნილი ხდება მოცემული ფუნქციონალური მოთხოვნების ტექნოლოგიური რეალიზაცია. გარდა ამისა, იქმნება შესაძლებლობა დაინტერესებული მხარეების ჩართვისა ინტელექტუალური ენერგოსისტემის ფორმირებაში, რათა მიღწეულ იქნას მისი ხანგრძლივი მდგრადობა.

2. ფუნქციონალური ცვლილებების ეტაპობრივი ასახვისათვის მიზანშეწონილად ვთვლი სიმწიფის მოდელის გამოყენებას. გამოვლენილ ფუნქციონალურ ცვლილებებს შეესაბამებიან ტექნოლოგიური და ეკონომიური ის ეფექტები ტექნოლოგიური ქვესისტემებისა და მთლიანად ენერგოსისტემის, რაც ჩემს მიერ არის ზემოთ წარმოდგენილ ეფექტების სისტემაში განსაზღვრული.

3. სიმწიფის მოდელი გამოიყენება განვითარების მიმდინარე და სასურველი მომავალი დონის შეფასებისათვის, რაშიც ინტეგრირებულია სტეიკჰოლდერების ფუნქციონალური მოთხოვნები.

## დასკვნა

ენერგოსისტემის მიმდინარე მდგომარეობიდან სასურველ მომავალ მდგომარეობაში გადაყვანისათვის საჭიროა მრავალი ფუნქციონალური ცვლილებების განხორციელება გარკვეული ტექნოლოგიებით, რისთვისაც უნდა ჩატარდეს ტექნოლოგიური კომპონენტების ტიპიზაცია და განისაზღვროს განვითარების ვარიანტები რომელთა მეშვეობითაც განხორციელდება ფუნქციონალური ცვლილებები. სხვადასხვა ტექნოლოგიურ ნაკრებები ხასიათდებიან კომპონენტების განსხვავებული ურთიერთქმედების ძალით, რაც გავლენას ახდენს ტექნოლოგიურ ეფექტებზე.

განვითარების განსხვავებული ვარიანტების რეალიზაციით წარმოშობილი ჯამური ეკონომიური ეფექტების შესაფასებლად საჭიროა ეკონომიური ინდიკატორების ბაზაზე განისაზღვროს ეკონომიური და ტექნოლოგიური ეფექტებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება. ტექნოლოგიური ეფექტების მოცულობები იცვლება განვითარების სხვადასხვა ვარიანტებისათვის.

შესაბამისად, ეს გავლენას ახდენს ჯამურ, ფინანსურად გამოხატულ ეკონომიურ ეფექტებზე.

ინტელექტუალური ენერგოსისტემის განვითარების თითოეული ვარიანტის რეალიზაციის ჯამური დანახარჯების შეფასებისათვის უნდა ხდებოდეს შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის და ექსპლოატაციის, დარგის არსებული აქტივების მოდერნიზაციის და ენერგოქსელის გაფართოებაზე გაწეული დანახარჯების შეჯამება.

საუკეთესო ვარიანტის საბოლოო შერჩევა ხდება შემდეგი მახასიათებლებით: საჭირო ფუნქციონალური ცვლილებების მიღწევის ხარისხი, ტექნოლოგიათა შერწყმის დონე, ეკონომიური ეფექტურობის მახასიათებლები.

გასათვალისწინებელია აგრეთვე სტეიკჰოლდერებს შორის ეფექტებისა და ხარჯების განაწილება, რაც მიმაჩნია, რომ უნდა ხდებოდეს იმ ტექნოლოგიური ეფექტების შესაბამისად, რომელთა მომხმარებლებიც იქნებიან ეს სტეიკჰოლდერები. ხარჯების განაწილება უნდა ხდებოდეს სტეიკჰოლდერის მოსალოდნელი შემოსავლის მიხედვით.

## ლიტერატურა


